პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1980 წელი ხუთშაბათი 24 იანვარი № 19 (17664) ფასი 2 კაპ.

## ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა მიიღო ჟ. შაბან-დელმასი

22 იანვარს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ლ. ი. ბრეჟნევმა მიიღო საფრანგეთის ეროვნული კრების თავმჯდომარე ჟ. შაბან-დელმასი, რომელიც ოფიციალურ ვიზიტად არის საბჭოთა კავშირში.

საუბრის დროს განიხილეს ორივე მხარისათვის საინტერესო საერთაშორისო პრობლემები, [illegible] და საფრანგეთის [illegible].

საუბარში მონაწილეობდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის თანაშემწე ა. ი. ბლატოვი, საფრანგეთის ელჩი სსრ კავშირში ა. ფრომან-მეერისი. (საკდესი).

სურათზე: საუბრის დაწყების წინ. საკდეს-საქინფორმის ტელეფოტო.

## სოია — მიწის საოცრება!

ჩვენს პლანეტაზე სოია ერთ-ერთი უძველესი კულტურაა. ამ საოცარმა მცენარემ პოპულარობა თავისი ყუათიანობით მოიპოვა. სოიის მარცვალი ხომ 40 პროცენტ პროტეინსა და ოც პროცენტამდე ზეთს შეიცავს! სოიის ცილა კი ამინომჟავების შემცველია, რომელიც კარგად იხსნება და ადამიანის ორგანიზმიც შესანიშნავად ითვისებს.

საქართველოში, და არა მარტო ჩვენში, არამედ კავშირშიც, სოიის წარმოებას დიდი ხნის ისტორია აქვს, მაგრამ მის მოსავლიანობას ვერ დავიკვეხნით. იმისათვის, რომ სოიის მოსავლიანობა გავადიდოთ, ამ კულტურას სათანადო ყურადღება უნდა მივაქციოთ. მთავარი კი ის არის, რომ სოიის წარმოების ტექნოლოგია ინდუსტრიულ რელსებზე გადავიყვანოთ, ეს კი იმას ითვალისწინებს, რომ გავზარდოთ წმინდა სოიის ნათესების ფართობები. ამისათვის უნდა გამოვიყენოთ სარწყავი მიწები, განვსაზღვროთ, თუ როგორ ნიადაგზე რომელი ჯიშის სოია დათესოს, მოვლა-პატრონობის რა წესებს მივმართოთ და სხვ.

შესანიშნავად თქვა ყაზახეთის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ლ. ი. ბრეჟნევმა: „სოიის წარმოების საკითხი ჩვენ უნდა გადავჭრათ ისევე საფუძვლიანად და მიზანდასახულად, როგორც ჩვენ ეს გავაკეთეთ ბრინჯის პრობლემის გადაწყვეტის დროს“.

ეს სიტყვები საქართველოს სოფლის მეურნეობის მშრომელებმა, უწინარეს ყოვლისა, ტენიანი და სარწყავი ზონების საწოგადებრივმა მეურნეობებმა უნდა გაითვალისწინონ და სოიის პრობლემას სახელმწიფოებრივი თვალთახედვით მიუდგნენ, განსაზღვრონ მისი როლი სოფლის მეურნეობის საკვებისა და მშრომელთა სურსათით უზრუნველყოფის საქმეში.

სოიის წარმოებას მთელ მსოფლიოში დიდი ყურადღება ექცევა. უკანასკნელი ორი ათწლეულის განმავლობაში განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებში სოიის წარმოებამ 2,8-ჯერ მოიმატა და 75,5 მილიონ ტონას მიაღწია, მათ შორის ამერიკის შეერთებულ შტატებში — 3,3-ჯერი, ბრაზილიაში — 4,7-ჯერ. ინგლისში სოიის ცილების კომბინატების ოპტიმალური გამოყენების შედეგად ერთი კილოგრამი ბროილერის ხორცის წარმოებაზე საკვების ხარჯვა 2,2 კილოგრამამდე შემცირდა.

ბუნებრივია, სოიის წარმოებას დიდი ყურადღება ექცევა ჩვენს ქვეყანაშიც. ამის მკაფიო მაგალითია ყირიმის ოლქის სოფლის მეურნეობის მშრომელთა მიღწევები. ყირიმის ოლქის ფერნველმრეწვის გაერთიანების საბჭოთა მეურნეობა „სამშობლო“ ჩვენს ქვეყანაში მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების დიდი საწოგადოებრივი ერთეულია. აქ ყოველწლიურად ადიდებენ რძის, ხორცის, კვერცხის წარმოებას. მეურნეობას 5.000 მსხვილფეხა რქანი პირუტყვი ჰყავს (მათ შორის 1.600 ძროხაა), მათს ფერმებში 10.000 ბოცვერი და 100.000 ფრთა სახლიცე ფრინველია.

ასეთ დიდ მეურნეობას, ცხადია, პირუტყვის საკვები ბაზაც დიდი და მტკიცე უნდა ჰქონდეს. საკვები ბაზის განმტკიცებაში მთავარი ადგილი სოიას ეკუთვნის. ასობით ჰექტარზე თესავენ ამ მაღალკალორიულ კულტურას. საშუალოდ ჰექტარზე 20-25 ცენტნერი მარცვალი მოჰყავთ, ხოლო ნაბეს (დაფქვის შემდეგ) მთლიანად მსხვილფეხა პირუტყვის საკვებად იყენებენ.

ყირიმელები სოიის უხვ მოსავალს ნათესების შესანიშნავი მოვლით იღებენ. სასუქები დროულად და საკმაო დოზით შეაქვთ, არც რწყვას აკლებენ.

რაღა შორს წავიდეთ, აბაშის რაიონის მხვნელმეთესველებმა ბოლო წლებში ნათესების შესანიშნავი მოვლით, სასუქების ნორმალური გამოყენებით საკმაო წარმატებებს მიაღწიეს სოიის მოსავლის გადიდების საქმეში. აბაშელებმა წარმატებას ძირითადად კომპლექსური მექანიზაციის, ფარფოდ დანერგვით მიაღწიეს. აქ შარშან ასობით ჰექტარზე ეთესავთ სოია. საშუალოდ ჰექტარზე 14 ცენტნერი სოია მიიღეს.

უფრო კარგი მაჩვენებლები აქვთ აბაშის რაიონის ცნობილ მექანიზატორებს ვამა-შვილს სტორჩაკებს. ისინი ყოველწლიურად ორკაციანი რგოლით, ერთი „ბელორუსისა“ და ერთი „დტ-75“ მარკის ტრაქტორებთ, ერთი კომბაინით, გუნინით, ხალეწვითა და კულტივატორით, 100 ჰექტარ სოიის ნათესს უვლიან და შესანიშნავი მოსავალი მოჰყავთ. ეს ჰექტარ ნათესს წინათ 200 კაცის ხელი სჭირდებოდა, ახლა კი ორი კაცი უვლის. მათ მხოლოდ ორი ჯიშის — „ბისონისა“ და „ამერულის“ სოია მოჰყავთ და წელს ჰექტარზე 16 ცენტნერი მარცვალი მიიღეს.

ბოლო წლებში სოიის მოვლა-მოყვანის კარგი გამოცდილება შეიძინეს აგრეთვე ცხაკაიას, ხობისა და სხვა რაიონების საზოგადოებრივი მეურნეობების მემინდვრეებმა.

არსებობს ერთი მცდარი მოსაზრება, თითქოს აღმოსავლეთ საქართველოში სოიის მოყვანა შეუძლებელი იყოს. ამ მოსაზრებას აქარწყლებს გარდაბნის რაიონის ჯანდრის სახმოსა მეურნეობის მაგალითი. ჯანდრელებმა 45 ჰექტარი სოია დათესეს და შესანიშნავი მოსავალი მოიწიეს. საშუალოდ ჰექტარზე 11 ცენტნერი მარცვალი და 250-300 ცენტნერი მწვანე მასა მიიღეს. ამასვე ადასტურებს მიწათმოქმედების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მაგალითი, რომელსაც მცხეთის რაიონში 1 ჰექტარზე 20-22 ცენტნერი მოსავალი მოჰყავს. ასე რომ, აღმოსავლეთ საქართველოს სარწყავ ადგილებში სოიის მოყვანა და უხვი მოსავლის მიღება სავსებით შესაძლებელია, საჭიროა მეტი მონდომება, გულმოდგინება, მოწინავე გამოცდილების დანერგვა.

სოიას მეტი ფართობები უნდა დაუთმონ საქართველოს კოლმეურნეობებმა და სახმოსა მეურნეობებმა, თორემ ის მცირე წინსვლა, რომელიც რეპუბლიკაში სოიის თესვა-მოყვანაში შეიმჩნევა, სრულიადაც არ არის საკმარისი. 1976 წელს რესპუბლიკაში სოია 18 ათას ჰექტარზე დათესა, ჰექტარზე საშუალოდ 2,6 ცენტნერი მარცვალი მივიღეთ. მომდევნო წელს ნათესმა ფართობმა 100 ჰექტარით მოიმატა. სულ მცირედით გადიდდა საშუალო მოსავლიანობაც — ჰექტარზე მივიღეთ 2,8 ცენტნერი მარცვალი. შარშანწინ ნათესმა ფართობმა 1.000 ჰექტარით მოიმატა, ხოლო საშუალო მოსავლიანობამ ჰექტარზე 3,9 ცენტნერს მიაღწია.

ეს ფაქტები იმაზე მეტყველებს, რომ მეურნეობათა უმრავლესობაში ჯერ კიდევ არ აქცევენ ჯეროვან ყურადღებას სოიის კულტურის მოვლა-მოყვანის საქმეს.

ამიტომ ჩვენ მიგვაჩნია, რომ სოიის თესვა და უხვი მოსავლის მიღება შეიძლება დასავლეთ საქართველოშიც და აღმოსავლეთ საქართველოს ტენიან ადგილებში, სარწყავ მიწებზეც. გარდა ამისა ჩვენს პირობებში სოია უხვად იძლევა მწვანე მასას, რომელიც მაღალცილიანობითა და მაღალცხიმიანობით გამოირჩევა. იგი მეცხოველეობის საკვები ბაზის განმტკიცების საფუძველად უნდა მივიჩნიოთ. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სოიის ფრინველის საკვებად გამოყენებას. ცილებითა და ცხიმებით მდიდარი სოიის მარცვალი და მწვანე მასა ფრინველის კომბინირებული საკვების ძირითადი კომპონენტი უნდა იყოს. ამ საქმეს ხელი უნდა მოჰკიდონ თვით მეფრინველეობის ფაბრიკებმა და „საქფრინველმრეწვამ“. მაშინ ის საყვედურებიც მოისპობა, კომბინირებული საკვების ხარისხის მიმართ რომ გამოთქვამენ მეფრინველეები.

ჩვენი რჩევაა: გაზაფხულამდე დარჩენილ დროში კარგად მოვემზადოთ სოიის თესვისათვის. შევარჩიოთ და წესრიგში მოვიყვანოთ ნაკვეთები, შევიტანოთ სასუქები, მოვიმარაგოთ ამა თუ იმ რეგიონისათვის უხვმოსავლიანი ჯიშების სოიის თესლი, უზრუნველყოთ მისი სათესი კონდიცია და თესვა აგროვადებში დავამთავროთ. კარგი მოვლა-პატრონობით უხვ მოსავალს მოვიწევთ და ამით დიდ საშვილიშვილო საქმეს მტკიცე საფუძველს ჩავუყრით.

**ლ. ზაქაიძე,**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სოფლის მეურნეობისა და დამზადების განყოფილების გამგე.

## ერთსულოვნების ვითარებაში

### საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატთა რეგისტრაცია

გაიმართა ქალაქ თბილისის № 40 კალინინის საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის სხდომა, რომელზეც მიიღეს გადაწყვეტილება რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად რეგისტრაციაში გაატარონ ეროვნული ანგარიშგების „თბილისქალაქმშენის“ № 14 ტრესტის კომპლექსური ბრიგადის ბრიგადირი ვალერიან ილარიონის ძე ჭელიძე.

ქალაქ თბილისის № 41 მთაწმინდის საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად რეგისტრაციაში გაატაროს საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანი ნელი ვლადიმერის ასული გურგენიძე.

ქალაქ თბილისის № 43 გოგებაშვილის საარჩევნო ოლქში საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ამ ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის სხდომაზე რეგისტრაციაში გაატარეს თბილისის ა. ს. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის კათედრის გამგე რევაზ ილიას ძე ლაღიძე.

ქალაქ რუსთავის №175 მშენებელთა საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის სხდომაზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად რეგისტრაციაში გაატარეს რუსთავის ლითონკონსტრუქციათა ქარხნის მომნიშვნელი ელენე ალექსანდრეს ასული რომანოვა.

ქუთაისის ს. ორჯონიკიძის სახელობის ავტოქარხნის გამომცდელი მძღოლი ბორის ილიას ძე ვაშაკიძე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად რეგისტრაციაში გაატარეს ქალაქ ქუთაისის № 256 ორჯონიკიძის საარჩევნო ოლქში.

ქალაქ ქუთაისის № 262 გრიშაშვილის საარჩევნო ოლქში საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად რეგისტრაციაში გაატარეს საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლთა დაცვისა და გამოყენების მთავარი სამეცნიერო-საწარმოო სამმართველოს უფროსი ირაკლი ნიკოლოზის ძე ცაცანაშვილი.

ზუგდიდის რაიონის № 337 კორცხელის საარჩევნო ოლქში საოლქო საარჩევნო კომისიამ რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად რეგისტრაციაში გაატარა სოფელ ოდიშის მეჩაიე მალვა თევდორეს ასული ხვირავა.

ქალაქ წყალტუბოს ზონის № 272 წყალტუბოს სასოფლო საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიამ რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად რეგისტრაციაში გაატარა საქართველოს

(დასასრული მე-2 გვ.).

## ეძღვნება ვ. ი. ლენინის ცხოვრებასა და მოღვაწეობას

ვ. ი. ლენინის ცხოვრებასა და სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის პოსტზე მოღვაწეობას ეძღვნება ორტომეული „ლენინი საბჭოეთის საქმესთან“, რომლის პირველი წიგნი ახლახან გამოსცა პოლიტიკური ლიტერატურის გამომცემლობამ.

ჟამოცემაში განზოგადებული და სისტემატიზებულია დიდი დოკუმენტური მასალა, მათ შორის თანამედროვეთა მოგონებანი კომუნისტური პარტიის ბელადის, პირველი საბჭოთა მთავრობის მეთაურის ცხოვრების ყველაზე საბჭოეთის ცხოვრების ყველაზე რთულ და ძნელ პერიოდში.

გამოცემა ილუსტრირებულია და განკუთვნილია ფართო მკითხველისათვის. (საკდესი).

## ა. ა. გრომიკო ვიზიტად ეწვევა სირიის არაბთა რესპუბლიკას

სირიის არაბთა რესპუბლიკის ხელმძღვანელობის მიწვევით სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო ივნისის დამლევს ოფიციალურ მეგობრულ ვიზიტად იწვევა სირიის არაბთა რესპუბლიკას.

## მიფრინავს „ქოსმოს-1151“

1980 წლის 23 იანვარს საბჭოთა კავშირში გაუშვეს დედამიწის მორიგი ხელოვნური თანამგზავრი „ქოსმოს-1151“.

თანამგზავრი მსოფლიო ოკეანის შესახებ ოპერატიული ინფორმაციის მიღების მეთოდების დახვეწისათვის არის განკუთვნილი. აპარატურა ნორმალურად მუშაობს. მიღებული ინფორმაცია დამუშავებისა და გამოყენებისათვის გადაეცემა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ინსტიტუტებს. (საკდესი).

## უმაღლესი სკოლის კეთილშობილური მისია

21 იანვარს საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროში გაიმართა სუბბარი, რომელიც მიეძღვნა უმაღლესი სკოლის ამოცანებს თანამედროვე ეტაპზე. რესპუბლიკის უმაღლესი სასწავლებლების რექტორებს, საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს პასუხისმგებელი მუშაკს შეხვდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ე. ა. შევარდნაძე.

ამხანაგმა შევარდნაძემ შეკრებილთ წარუდგინა საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების ახლად დანიშნული მინისტრი დ. ი. ჩხიკვიშვილი და ილაპარაკა მომავლის წინაშე იმ ადამიანთა პასუხისმგებლობის შესახებ, რომლებიც მოწოდებული არიან აღზარდონ ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის, მეცნიერებისა და კულტურის იდეურად მტკიცე, მაღალკვალიფიციური სპეციალისტები.

შარშან, თქვა ამბ. შევარდნაძემ, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა გამართა პლენუმი, რომელიც კადრებთან მუშაობის საკითხს მიეძღვნა. პლენუმზე ერთხელ კიდევ აღინიშნა როლი, რომელსაც უმაღლესი სკოლა ასრულებს არა მარტო ეკონომიკური სპეციალისტების მომზადებაში, არამედ აგრეთვე საბჭოთაეთის იდეურად მომზადებული, ზნეობრივად სპეტაკი მოქალაქეების აღზრდაში.

უკანასკნელი წლებში რესპუბლიკის უმაღლესმა სკოლამ საგრძნობ წარმატებებს მიაღწია ამ მუშაობაში, მაგრამ ჯერ კიდევ სრულად ვერ აკმაყოფილებს თანამედროვე მოთხოვნებს. ეკონომიკამ ახალგაზრდა სპეციალისტები იღებენ უმაღლეს სასწავლებელში, ხშირად ვერ უზრუნველყოფს დიდმნიშვნელოვანი სახალხო-სამეურნეო პრობლემების კვალიფიციურ გადაჭრას, მეცნიერულად დასაბუთებულ დაგეგმვასა და პროგნოზირებას.

სახალხო მეურნეობის, მეცნიერების, საზოგადოებრივი ცხოვრების მართვა სულ უფრო რთულდება. ამ საკითხების გადაწყვეტა შეუძლიათ მხოლოდ კომპეტენტურ, საქმეში ჩახედულ, იდეურად მტკიცე ადამიანებს. დღეს, როცა ჩვენმა რესპუბლიკამ, მისმა მშრომელებმა გარკვეულ წარმატებებს მიაღწიეს საქართველოს პარტიორგანიზაციის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ისტორიულ დადგენილებათა რეალიზაციაში, სახალხო მეურნეობის განვითარების მართვის სრულყოფის პრობლემების განსაკუთრებით აქტუალური ხდება.

ჩვენ საკმაოდ სამართლიანად შეგვიძლია ვიამაყოთ გასული სამეურნეო წლის შედეგებითაც. მან ბევრი ჩვენგანი ალიარა ამაყოფილების გრძნობით. განსაკუთრებით შთაგვაგონებს ის, რომ მალე წარმატებით დავაგვირგვინებთ მომდინარე ხუთწლედის დავალებებს. გვაგონებს ძვირი, რომლებიც ცხადად იგრძნობა ჩვენი ცხოვრების ულტიმატიკა ყველა სფეროში.

მაგრამ მიღწეული ჩვენი წინსვლა-განვითარების მხოლოდ გარკვეული ეტაპია, და თუ შედარებით ილოდ შევდელით გამოგვეგონა ახლანდელი ხუთწლედის გეგმების შესრულებისათვის საჭირო რეზერვები, მომავალ — მეთერთმეტე და მეთორმეტე ხუთწლედებში ჩვენმა სახალხო მეურნეობამ, ყველა ჩვენგანმა უმაგალითო სერთულის ამოცანები უნდა გადაწყვიტოს.

საქართველოში ტრადიციულ დარგებთან ერთად ფართოდ ფანდათარდება სახალხო მეურნეობის ახალი დარგები. ეს არის ელექტრონიკა, ელექტრონიკა, ფარდი ჩარხმშენებლობა და სხვა, განსაკუთრებულდება რუსთავის მეტალურგიული და ქუთაისის ს. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნისა და მეკერეგბარიტიანი ტრაქტორების ქარხნის, თბილისის ი. ბ. სტალინის სახელობის ელექტროგადამწემ.ერთეული ქარხნის რეკონსტრუქცია. ერთი სიტყვით, ჩვენს რესპუბლიკას დიდი სახალხო-სამეურნეო განახლების ხანა დაუდგა. ეს, თავის მხრივ, აყენებს ამოცანას, ისე განვავითაროთ მრეწველობა, ტრანსპორტი, მშენებლობა, რომ შევინარჩუნოთ და ვამრავლოთ რესპუბლიკის სიმდიდრენი. აი რატომ დგება ასე მწვავედ საკითხი მეურნეობის, ყველა იმ დიდმნიშვნელოვანი პროცესის მართვის მეცნიერული საფუძვლების შესახებ, რომლებსაც ცხოვრება აყენებს, კადრების შესახებ, რომლებიც მოწოდებული არიან გადაჭრან ეს პრობლემები.

ალბა, რა უკიდეგანო ასპარეზს უსაბამს რესპუბლიკას სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილება „საქართველოს სს რესპუბლიკაში სამხრეთული და სუბტროპიკული კულტურების წარმოების ზრდისა და სოფლის მეურნეობის შემდგომი დაჩქარებული განვითარების შესახებ“. საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის განვითარების საკითხი ასე მასშტაბურად ჯერ არასდროს დაუყენებიათ. ამ დადგენილების განხორციელების შედეგად კომპლექსურად გადაიჭრება რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მთელი რიგი დიდმნიშვნელოვანი პრობლემები ხანგრძლივი პერიოდისათვის. ეს, უწინარეს ყოვლისა, ეხება სუბტროპიკული სასოფლო-სამეურნეო კულტურების წარმოების შემდგომ გაფართოებას, გადამამუშავებელი მრეწველობის ახალი ობიექტების მშენებლობას. არსებული სიმძლავრეთა განახლებას, ტრანსპორტის, მშენებლობის განვითარებას.

ამ რამდენიმე დღის წინ ჩვენ ყოლთბილად დავალოლოცეთ გზა რესპუბლიკის სასოფლო-სამეურნეო უმაღლესი სასწავლებლების კურსდამთავრებულებს. სწორედ მათ უნდა დაფაფიქრონ პარტიის რთული და საპატიო ამოცანები, სწორედ ისინი უნდა გახდნენ სასოფლო-სამეურნეო წარმოების ნამდვილი ორგანიზატორები, ემსახურონ მშობლიური მიწის ბარაქიანობის ზრდას.

რესპუბლიკის მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების პასუხსაგები ამოცანები ახალ პრობლემებსაც აყენებს. მათს გადაჭრაში თაოსნურად აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღოს რესპუბლიკის ყველა ორგანიზაციამ და დაწესებულებამ, მაგრამ, უწინარესად, აქ თავიანთი სიტყვა უნდა თქვან უმაღლესი სკოლის მოშაკებმა. მათ უნდა მოამზადონ სპეციალისტები სახალხო მეურნეობის ყველა დარგისათვის, მათ შორის ახალი დარგებისათვის.

ამიტომ ვეღარ შეეფარებიდებით რესპუბლიკაში დამკვიდრებულ პრაქტიკას, როცა საჭიროზე მეტი რაოდენობის სპეციალისტები მზადდება ერთი რიგი დარგებისათვის და საჭიროზე ნაკლები — სხვა დარგებისათვის. სპეციალისტთა მომზადება უნდა დაეგეგმოთ ზუსტად სახალხო მეურნეობის განვითარების პერსპექტივების შესაბამისად, რათა ოდესაც დაშვებულმა შეცდომებმა მომავალში ზიანი არ მოგვიტანოს. ასე კი მოხდა, როცა, მაგალითად, ოცი წლის წინ ვაუქმდა თბილისის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტი. ცხოვრებამ ცხადყო ამ გადაწყვეტილების უსაფუძვლობა. დღეს, როცა ტრანსკავკასიის რკინიგზის მშენებლობის პროექტები მუშავდება, როცა რესპუბლიკის რკინიგზის ქსელი ფართოვდება, ჩვენ მწვავედ განიცდით რკინიგზის ტრანსპორტის სპეციალისტთა ნაკლებობას.

რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტმა, მეცნიერებათა აკადემიამ, რესპუბლიკის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრომ და სხვა დაინტერესებულმა ორგანიზაციებმა ერთად უნდა იზრუნონ გარკვეული პროფილების საჭირო რაოდენობის სპეციალისტთა მომზადების დაგეგმვისა და უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ მათი დასაქმებისათვის.

დღის წესრიგში დგება ამოცანა — ახალ, უფრო მაღალ საფეხურზე ავიყვანოთ უმაღლესი განათლება რესპუბლიკაში.

ამხანაგმა ე. შევარდნაძემ თქვა, რომ უმაღლესს სასწავლებლებთან ერთად ერთ მუშაობა უფრო მეტად უნდა დაუახლოვდეს ცხოვრებას, სახალხო მეურნეობის შესაბამისი დარგების პრაქტიკულ საქმიანობას. ხშირად სასწავლებლები არ აძლევენ სტუდენტებს თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული ჩვევების საჭირო კომპლექსს. უფრო ფართოდ უნდა გამოვიყენოთ უმაღლესი სასწავლებლების მეცნიერები დიდმნიშვნელოვანი სახალხო-სამეურნეო ამოცანების გადასაწყვეტად. ახალგაზრდა სპეციალისტმა ჯერ კიდევ უმაღლესი სასწავლებლის კედლებში უნდა შეიგრძნოს მეცნიერული მუშაობა, განიცადოს პასუხისმგებლობის გრძნობით, სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით ფიქრების დიდმნიშვნელოვან სოციალური და პოლიტიკურ მოვლენებს.

შეხვედრაზე განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო იმ საკითხებს, რომ კიდევ უფრო გაუმჯობესდეს ტექნიკუმების მუშაობა, ფართოდ იქნეს გამოყენებული სწავლების ეს ფორმა საშუალო რგოლის სპეციალისტთა მოსამზადებლად, დაინერგოს სწავლების პრაქტიკულად გამართლებული ფორმები და მეთოდები, განახლდეს დამხმარე მეთოდიკური და ძირითადი სახელმძღვანელოები, კიდევ უფრო განმტკიცდეს ტექნიკუმებისა და უმაღლესი სასწავლებლების მეცნიერულ-ტექნიკური და მატერიალური ბაზა, გამჯობესდეს სტუდენტთა საყოფაცხოვრებო პირობები.

ამ ყაღრესად რთული ამოცანების გადასაწყვეტად, თქვა ამხანაგმა ე. ა. შევარდნაძემ, ჩვენს ქვეყანას სჭირდება არა მარტო პროფესიონალები, რომლებიც ერთგულ სამშობლოს, ერთგულ ოჯახს, ერთგულ ადამიანებს ემსახურებიან, ეხმარებიან, ეფარებიან, ეფარებიან, ეფ

1980
24
თებერვალი
საბჭოების
არჩევნების
დღე

# ერთსულოვნების ვითარებაში

(დასასრული)

ალკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი **ეიფელ კალინტრატეს ძე შარტავა.**

საქართველოს მანქანათგამოსაცდელი სადგურის მცხეთის საცდელი მეურნეობის მუშა **ლიანა ვახტანგის ასული ირემაშვილი** საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად რეგისტრაციაში გაატარეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი **გურამ ნიკოლოზის ძე ენუქიძე.**

გაიმართა ქალაქ თბილისის №19 **მარჯანიშვილის** საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის სხდომა, რომელზეც მიიღეს გადაწყვეტილება რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად რეგისტრაციაში გაატარონ საქართველოს თეატრალური საზოგადოების პრეზიდიუმის თავმჯდომარე **დიმიტრი ალექსანდრეს ძე ალექსიძე.**

საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს №1 ტრესტის კომპლექსური ბრიგადის ბრიგადირი **ოთარ გიორგის ძე პატაშვილი** რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად რეგისტრაციაში გაატარეს ქალაქ რუსთავის №182 **ვაჟა-ფშაველას** საარჩევნო ოლქში.

ქალაქ რუსთავის №180 **ლენინის** საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიამ თავის სხდომაზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად რეგისტრაციაში გაატარა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ვალერი ივლიანეს ძე ვადაჭკორია.**

საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის რექტორი **ვალერიან ოსიეს ძე მეტრეველი** რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად რეგისტრაციაში გაატარეს მცხეთის რაიონის №99 **დიღმის** საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის სხდომაზე.

ახალციხის რაიონის №134 **ჯაფარიძის** საარჩევნო ოლქში საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად რეგისტრაციაში გაატარეს ახალციხის ექატ-დიატომიტის სამმართველოს მექანიკოვატორე **თამაზრაზ შაქროს ძე მაჩაიძე.**

№ 434 **ქსუთისის** საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის სხდომაზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად რეგისტრაციაში გაატარეს საქართველოს კომპარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის მეორე მდივანი **ნუგზარ არსენის ძე ოდიშვილი.**

ხაშურის რაიონის №125 **ლენინის** საარჩევნო ოლქში საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად რეგისტრაციაში გაატარეს ხაშურის საოლქოკომოტივო დეპოს მეთანქანე **ბეჟან ივანეს ძე ხაჩიძე.**

№ 159 **თეთრი წყაროს** საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის სხდომაზე რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად რეგისტრაციაში გაატარეს თეთრი წყაროს საბჭოთა მეურნეობის მწყემსავი **თინა შაქროს ასული ბეჭაური.**

საქართველოს სსრ არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე **ვლადიმერ ნიკოლოზის ძე ჯანჯღავა** რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად რეგისტრაციაში გაატარეს გეგეჭკორის რაიონის № 348 **დიდი ჭყონის** საარჩევნო ოლქში.

ქალაქ თბილისის № 1 **ბენდელიანის** საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიამ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად რეგისტრაციაში გაატარა თბილისის რკინა-ბეტონის ნაკეთობათა № 1 ქარხნის მუშა **აზიზ აფოს ძე ბაგიროვი.**

ჟურნალ „მნათობის" რედაქტორი გიორგი კონსტანტინეს ძე **ნატროშვილი** საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად რეგისტრაციაში გაატარეს ქალაქ თბილისის № 5 **ლენინის** საარჩევნო ოლქში ამ ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის სხდომაზე.

ქალაქ თბილისის №10 **დრმაღელის** საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად რეგისტრაციაში გაატაროს საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მდივანი **ნუგზარ შალვას ძე ენდელაძე.**

№ 96 გარდაბნის საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის სხდომაზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად რეგისტრაციაში გაატარეს ბაზეი „სოვეტ გურჯუსტანის" რედაქტორი **სულეიმან მაგომედ ოღლი სულეიმანოვი.**

თეთრი წყაროს რაიონის № 160 **მანგლისის** საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად რეგისტრაციაში გაატაროს გაზეთ „კომუნისტის" რედაქტორი **გიორგი ვასილის ძე ბედინეიშვილი.**

ქუთაისის ლითოფონის ქარხნის მეაპარატე **ვალენტინა ნიკოლოზის ასული კოსტარევა** რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად რეგისტრაციაში გაატარეს ქალაქ ქუთაისის № 270 **ძერჟინსკის** საარჩევნო ოლქში.

ქალაქ წყალტუბოს ზონის № 276 **ოფურჩხეთის** საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის სხდომაზე მიიღეს დადგენილება რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად რეგისტრაციაში გაატარეს ქალაქ თბილისის № 5 **ლენინის** საარჩევნო ოლქში ამ ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის სხდომაზე.

ქალაქ თბილისის № 22 **ქუთაისის** საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად რეგისტრაციაში გაატაროს სპარეუმერიო-კოსმეტიკური ფაბრიკა „ივერიის" მუშა **დალი დურმიშხანის ასული სიდამონიძე.**

თბილისის ავეჯის საწარმოო გაერთიანება „განთიადის" ფურგალი **გიორგი ბაგრატის ძე ჭუმბურიძე** საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად რეგისტრაციაში გაატარეს ქალაქ თბილისის № 87 **მოსკოვის** საარჩევნო ოლქში ამ ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის სხდომაზე.

მარნეულის რაიონის № 168 **ალგეთის** საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის სხდომაზე რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად რეგისტრაციაში გაატარეს ალგეთის სპეციალზეგბული საბჭოთა მეურნეობის მუშა **სანამ მიქაილ უზი გასანოვა.**

№154 **წალკის** საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიამ რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად რეგისტრაციაში გაატარა საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის მინისტრი **გივი ბაგრატის ძე გადელია.**

ქუთაისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის რექტორი **ნოდარ ვარლამის ძე ვალიშვილი** საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად რეგისტრაციაში გაატარეს ქალაქ ქუთაისის № 267 **ახალგაზრდულ** საარჩევნო ოლქში. (საქინფორმი).

## როგორც კომუნისტს შეეფერის...

**თემატურ სალამოზე ვ. ი. ლენინის მუზეუმში**

**ვიცოდავლოთ,** ვიშრომოთ, ვიცხოვროთ ლენინურად! — უკვე ტრადიციად იქცა ამ დევიზით შეხვედრებს მოწყობა ვ. ი. ლენინის ენციკლოპედიური მუზეუმის თბილისის ფილიალში. ეს შეხვედრები სისტემატურად იმართება ახლა, როცა ჩვენი ქვეყნის მშრომელები ემზადებიან დიდი ბელადის დაბადების 110-ე წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის. ერთ-ერთი ასეთი შეხვედრა გუშინ მოაწყვეს პარტიის თბილისის ლენინის რაიკომმა და ვ. ი. ლენინის ენციკლოპედიური მუზეუმის თბილისის ფილიალმა. ლენინის მუზეუმს ესტუმრნენ ლენინის სახელობის რაონის მშრომელები, პარტიის ვეტერანები და ახალგაზრდები, რომლებიც ეს-ეს არის მიიღეს ლენინური პარტიის რიგებში.

შეხვედრა გახსნა პარტიის ლენინის რაიკომის პირველმა მდივანმა გ. ანჩაბაძემ. სიტყვა წარმოთქვეს პარტიის veteranebma d. lomaZem, g. alaverdaSvilma, g. biZinaSvilma, g. kuWulaSvilma, a. cxeladzem, თბილისის პირველი მაისის სახელობის სამკერვალო ფაბრიკის ახალგაზრდა მუშამ მ. წიკლაურმა, პარტიის ლენინის რაიკომის მეორე მდივანმა ქ. ლაცაბაძემ და სხვ. აქვე პარტიის veteranebma ახლოახან მიღებულ ახალგაზრდებს საზეიმო ვითარებაში გადაეცათ პარტიული ბილეთები.

„კომუნისტის" კორესპონდენტს შთაბეჭდილება დაუტოვა ვეტერანის შეხვედრის მონაწილეებმა:

**დ. ლომაძე — 1917 წლიდან სკკპ წევრი:** ლენინის მუზეუმის კედლებში ჩამკვარფულ ამ შეხვედრებს დიდი აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვს. ლენინსაკენ ხანს აქ, ამ კედლებში ასობით ახალგაზრდაც გადავიცით პარტიულ ბილეთები და შეიძლებოდა დაეთმაწყო ამ ახალგაზრდების სიხარულით, სიამაყით დაკისრებული ეს ბილეთები! ვფიქრობ, ამ შეხვედრის დიდი შთაბეჭდილება სამუდამო მეხსიერად გაჰყვება მათს საქმიანობას.

**ი. ულიანოვი — თბილისის „ელმავალმშენებლის" გაერთიანების ელექტრომექანიკოსი, ახალგაზრდა კომუნისტი:** ჩვენ ვეძებნით იმ დიდი პასუხისმგებლობას, რომელსაც ვიკისრებს ეს წითელი ბილეთები, დღეს კი რომ გადმოგვაქვს ჩვენი რაიონის პარტიულმა ხელმძღვანელებმა, პარტიის ვეტერანებმა. ჩვენ საზეიმოდ დავდგეთ ფიცი, რომ ვიქნებით მხოლოდ მოწინავენი, როგორც ეს ნამდვილ კომუნისტებს შეეფერით.

— მასობრივი ღონისძიებების ციკლს დავიზეთ: „ვიშრომოთ, ვისწავლოთ და ვიცხოვროთ ლენინურად" ცალკეული განვაგრძობთ. — თქვა ვ. ი. ლენინის ენციკლოპედიური მუზეუმის ფილიალის დირექტორის მოადგილემ ზ. მეზბუევშვილმა. — პარტიის ვეტერანთა და ახალგაზრდობის ტრადიციული შეხვედრების დროს გამართება ახალგაზრდობის საზეიმო მიღება პარტიის, კომკავშირის რიგებში, ამასთან შეხვედრებს მონაწილეობენ ახლახან მიღებულ ახალგაზრდებს საზეიმო ვითარებაში გადაეცათ პარტიული ბილეთები.

„კომუნისტის" კორესპონდენტს შთაბეჭდილება დაუტოვა ვეტერანის შეხვედრის მონაწილეებმა:

**დ. ლომაძე — 1917 წლიდან სკკპ წევრი:** ლენინის მუზეუმის კედლებში ჩამკვარფულ ამ შეხვედრებს დიდი აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვს. ლენინსაკენ ხანს აქ, ამ კედლებში ასობით ახალგაზრდაც გადავიცით პარტიულ ბილეთები და შეიძლებოდა დაეთმაწყო ამ ახალგაზრდების სიხარულით, სიამაყით დაკისრებული ეს ბილეთები! ვფიქრობ, ამ შეხვედრის დიდი შთაბეჭდილება სამუდამო მეხსიერად გაჰყვება მათს საქმიანობას.

**ი. ულიანოვი — თბილისის „ელმავალმშენებლის" გაერთიანების ელექტრომექანიკოსი, ახალგაზრდა კომუნისტი:** ჩვენ ვეძებნით იმ დიდ პასუხისმგებლობას, რომელსაც ვიკისრებს ეს წითელი ბილეთები, დღეს კი რომ გადმოგვაქვს ჩვენი რაიონის პარტიულმა ხელმძღვანელებმა, პარტიის ვეტერანებმა. ჩვენ საზეიმოდ დავდგეთ ფიცი, რომ ვიქნებით მხოლოდ მოწინავენი, როგორც ეს ნამდვილ კომუნისტებს შეეფერით.

— მასობრივი ღონისძიებების ციკლს დავიზეთ: „ვიშრომოთ, ვისწავლოთ და ვიცხოვროთ ლენინურად" ცალკეულ განვაგრძობთ. — თქვა ვ. ი. ლენინის ენციკლოპედიური მუზეუმის ფილიალის დირექტორის მოადგილემ ზ. მეზბუევშვილმა. — პარტიის veteraneb�ა და ახალგაზრდობის ტრადიციული შეხვედრების დროს გამართება ახალგაზრდობის საზეიმო მიღება პარტიის, კომკავშირის რიგებში, ამასთან შეხვედრებს მონაწილეობენ ახლახან მიღებულ ახალგაზრდებს საზეიმო ვითარებაში გადაეცათ პარტიული ბილეთები.

„კომუნისტის" კორესპონდენტს შთაბეჭდილება დაუტოვა ვეტერანის შეხვედრის მონაწილეებმა:

**ზ. ლომაძე — 1917 წლიდან სკკპ წევრი:** ლენინის მუზეუმის კედლებში ჩამკვარფულ ამ შეხვედრებს დიდი აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვს. ლენინსაკენ ხანს აქ, ამ კედლებში ასობით ახალგაზრდაც გადავიცით პარტიულ ბილეთები და შეიძლებოდა დაეთმაწყო ამ ახალგაზრდების სიხარულით, სიამაყით დაკისრებული ეს ბილეთები! ვფიქრობ, ამ შეხვედრის დიდი შთაბეჭდილება სამუდამო მეხსიერად გაჰყვება მათს საქმიანობას.

**ი. ულიანოვი — თბილისის „ელმავალმშენებლის" გაერთიანების ელექტრომექანიკოსი, ახალგაზრდა კომუნისტი:** ჩვენ ვეძებნით იმ დიდ პასუხისმგებლობას, რომელსაც ვიკისრებს ეს წითელი ბილეთები, დღეს კი რომ გადმოგვაქვს ჩვენი რაიონის პარტიულმა ხელმძღვანელებმა, პარტიის ვეტერანებმა. ჩვენ საზეიმოდ დავდგეთ ფიცი, რომ ვიქნებით მხოლოდ მოწინავენი, როგორც ეს ნამდვილ კომუნისტებს შეეფერით.

— მასობრივი ღონისძიებების ციკლს დავიზეთ: „ვიშრომოთ, ვისწავლოთ და ვიცხოვროთ ლენინურად" ცალკეულ განვაგრძობთ. — თქვა ვ. ი. ლენინის ენციკლოპედიური მუზეუმის ფილიალის დირექტორის მოადგილემ ზ. მეზბუევშვილმა. — პარტიის veteranebma

პრობლემა

# სოია

## უხორცო ხორცი, ურძეო რძე, ანუ მართლაც საოცრება

## დემოგრაფიული „აფეთქება" და ცილების დეფიციტი

თანამედროვე ცივილიზაციისათვის დამახასიათებელია სამი გლობალური პრობლემა: ენერგეტიკული კრიზისი, გარემოს გაჭუჭყიანება და სურსათით მომარაგება. აქედან უპირველესი პრობლემა სწორედ ჩვენი პლანეტის მოსახლეობის სურსათ-სანოვაგით და უპირველეს ყოვლისა, სრულფასოვანი ცილებით დაკმაყოფილებაა.

კაცობრიობა თავისი განვითარების მთელ მანძილზე განიცდიდა სხვადასხვა კრიზისულ სიტუაციებს და როგორც გარდასულ ჟამთა მსვლელობა გვიჩვენებს, ადამიანი ყოველთვის გამარჯვებული გამოდიოდა გასაჭირიდან და ტრიუმფალურად მიემართებოდა ტექნოლოგიური, ეკონომიკური და სოციალური პროგრესისაკენ მიმავალ გზაზე.

პლანეტის მოსახლეობა ახლა ერთობ ჩქარი ტემპით მატულობს: ჩვენი წელთაღრიცხვის დასაწყისისათვის დედამიწის მოსახლეობა 200 მილიონი იყო. პირველ მილიარდს ადამიანთა რიცხვმა მიაღწია 18 საუკუნის შემდეგ — 1830 წელს, მეორე მილიარდს დასჭირდა 100 წელი (1930 წ.), მესამეს კი მხოლოდ 30 წელი (1960 წ.) და მეოთხე მილიარდი დაემატა სულ რაღაც 15 წლიწადში.

ასეთი დემოგრაფიული „აფეთქება" მოხდა ძირითადად აზიის, აფრიკისა და სამხრეთ ამერიკის განვითარებადი ქვეყნების მოსახლეობის ზრდის ხარჯზე, სადაც ადამიანების გამრავლების მაღალი დონეა.

კაცობრიობის წინსვლის პერიოდში საწარმოო ძალების განვითარების პარალელურად იზრდებოდა საზოგადოების არსებობისათვის საჭირო სასურსათო ბაზა, რომლის მოცულობის გადიდება მიმდინარეობდა, როგორც ტექნიკისა და ტექნოლოგიის ინტენსიფიკაციის საფუძველზე, ისე ამ სფეროს გაფართოებით — სურსათის ახალი წყაროების, ახალი მიწების, ზღვების და ოკეანეების ათვისების ხარჯზე.

მაგრამ დემოგრაფიული პროცესის სწრაფმა განვითარებამ გამოიწვია სასურსათო სიტუაციის გართულება და გამწვავება, რომელსაც მთელი რიგი თავისებურებები ახასიათებდა. ჯერ ერთი, ზოგიერთ ქვეყანასა და მთელ რეგიონებში აღინიშნება სურსათის რაოდენობრივი დეფიციტი — კალორიების ნაკლებობა ანუ ქრონიკული შიმშილი. ამის მსხვერპლი მსოფლიო მოსახლეობის 15 პროცენტი ხდება, რაც ნიშნავს, რომ ყოველწლიურად 50 მილიონი ადამიანის სიკვდილის ძირითადი მიზეზი კალორიების ნაკლებობაა.

სურსათის პრობლემის მეორე ასპექტი გამოიხატება ადამიანთა კვების ხარისხით, რაც მეტად აქტუალური გახდა თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესისა და ურბანიზაციის განვითარების ფონზე. კვების ხარისხობრივი გაუარესება უპირველესად დაკავშირებულია სრულფასოვანი ცილების, სასიცოცხლო ამინომჟავების და ვიტამინების დეფიციტთან.

ცილის ნაკლებობა უარყოფით გავლენას ახდენს ადამიანის ფიზიკურ და მორალურ მდგომარეობაზე. განსაკუთრებით მავნებელია ცილების ნაკლებობა ბავშვებისათვის.

სურსათის პრობლემის მესამე თავისებურება ის არის, რომ სრულფასოვანი ცილების დეფიციტი იგრძნობა არა მარტო განვითარებად ქვეყნებში, არამედ ეკონომიკურად განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებშიც, სადაც ცილის შემცველი პროდუქტების, უპირველეს ყოვლისა, ხორცის მოხმარების დაბალი დონეა.

## მეცნიერების უპირველესი პრობლემა

რადგან სურსათის წარმოების კლასიკური მეთოდები საგრძნობლად ჩამორჩება მოსახლეობის რიცხვის მატებას და საკვებზე მოთხოვნილებას, ამიტომ თანამედროვე მეცნიერების წინაშე დგას კეთილშობილური და უაღრესად მნიშვნელოვანი ამოცანა — შეიტანოს კარდინალური წვლილი ამ პრობლემის დადებითად გადაწყვეტის საქმეში.

სურსათის პრობლემის გადაჭრის სტრატეგიულ საკითხებზე ეკონომიკური, ტექნოლოგიური, სამედიცინო-სანიტარიული, ეკოლოგიური, სოციალური, ფსიქოლოგიური და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით, ავსტრიის დედაქალაქში მუშაობს ახლად დაფუძნებული სისტემური კვლევის საერთაშორისო ინსტიტუტი, რომლის მიზანი ის არის, რომ საერთაშორისო მეცნიერული კოოპერაციის საფუძველზე, თავისი ღვაწლი დასდოს თანამედროვეობის გლობალური ხასიათის მთელ რიგ მწვავე პრობლემათა დადებითად გადაწყვეტას. საბჭოთა კავშირი არის ამ მეცნიერული დაწესებულების ერთ-ერთი დამაარსებელი და მისი აქტიური მონაწილე.

ამჟამად კაცობრიობა სოფლის მეურნეობისათვის ხმელეთის მხოლოდ 10 პროცენტს იყენებს. ზოგიერთი გაანგარიშების მიხედვით თანამედროვე ტექნიკურ მიღწევათა საშუალებით შესაძლებელია დღეისათვის გამოყენებული მიწების ფონდი გაორკეცდეს. გარდა ამისა, სასოფლო-სამეურნეო კულტურების, უპირველესად მარცვლოვანთა და პარკოსანთა საშუალო მოსავლიანობის გლობალური გადიდება (განვითარებულ ქვეყნებში მიღწეულ დონემდე) დამატებით მოგვცემდა იმდენ პროდუქციას, რამდენიც საკვებით საკმარისი იქნებოდა 10 მილიარდი ადამიანის გამოსაკვებად. ამ მიზნის მისაღწევად აქტუალურია სასელექციო მუშაობა უხვმოსავლიანი სასოფლო-სამეურნეო კულტურების, მაღალპროდუქტიული ჯიშის შინაური ცხოველებისა და ფრინველების გამოსაყვანად. ამავე მიზანს ემსახურება აგროტექნიკის, მცენარეთა დაცვის და აგრონომიული მეცნიერების სხვა დარგების განვითარება.

დიდი რეზერვები იმალება საკვები მცენარეული კულტურების მიერ მზის ენერგიის გამოყენების უნარის გადიდებაში ფოტოსინთეზის დროს (მზის ენერგიის გამოყენება მცენარეების მიერ შეადგენს ერთ პროცენტს). ამჟამად უკვე გამოყვანილია ზოგიერთი ისეთი კულტურა, რომლებშიც ეს ციფრი 4-5 პროცენტს აღწევს.

ცილების დეფიციტის გადაწყვეტის და სურსათის რესურსების გადიდების ერთ-ერთი რეალური მიმართულება ის არის, რომ მაქსიმალურად შევამოკლოთ საკვების წარმოების „ჯაჭვი" ორ სტადიამდე (მემცენარეობა — საკვები პროდუქტი), როდესაც გამორიცხულია ცხოველთა და ფრინველთა რგოლი. დადგა დრო, როცა საზოგადოება უფრო ეკონომიურად უნდა ხარჯავდეს საკვებ რესურსებს.

ამჟამად ცილოვანი სურსათის დამზადების კლასიკური ტექნოლოგია ძირითადად მოიცავს სამ სტადიას: მემცენარეობა — მეცხოველეობა — საკვები პროდუქტი (ცილა).

მთელ რიგ ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებში სურსათ-სანოვაგეს ზომაზე მეტად მოიხმარენ, რაც არა მარტო უარყოფითად მოქმედებს ადამიანის ჯანმრთელობასა და დღეგრძელობაზე (ნივთიერებათა ცვლის დარღვევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადება, სიმსუქნე, დიაბეტი და ა. შ.), არამედ ამცირებს საკვები რესურსების მარაგს და მის რაციონალურად გამოყენების შესაძლებლობას.

რაც შეეხება მიკრობიოლოგიური ცილის წარმოებას ფრინველების და ცხოველების საკვებად, ეს საკითხი ჩვენს ქვეყანაში, ისევე როგორც მსოფლიოში, არა მარტო მეცნიერულად არის გადაწყვეტილი, არამედ უკვე შექმნილია ცილებისა და ამინომჟავების წარმოების მრეწველობა. უკანასკნელ ხანს საბჭოთა კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მეცნიერებმა პრაქტიკაში დანერგეს საფუარა ცილოვანი კონცენტრატის „ფერმოზინის" წარმოება, რომლის წმინდა ცილის შემცველობა არანაკლებ 60 პროცენტია, ხოლო ამინომჟავა ლიზინისა — 6,5 პროცენტი, რაც მეტად ძვირფასი საკვებია, განსაკუთრებით ღორების, ბროილერების და მოქცეულისათვის.

„საქართველოში სამხრეთული და სუბტროპიკული კულტურების წარმოების გადიდებისა და სოფლის მეურნეობის შემდგომი დაჩქარებული განვითარების ღონისძიებათა შესახებ" სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილების შესაბამისად მალე აბაშაში დაიწყება საფუარა მიკროორგანიზმების გამოყენებით ცხოველთა საკვები ცილოვანი კონცენტრატის დამამზადებელი ქარხნის მშენებლობა, სადაც განხორციელდება ცილის მიღების ზემოაღნიშნული ტექნოლოგია.

ამჟამად საქართველოში არსებობს მიკრობიოლოგიური მრეწველობის ორი საწარმო ახმეტასა და ზუგდიდში, რომლებიც უშვებენ ცილოვან კონცენტრატებს. თუმცა, აღსანიშნავია, რომ მათი მცირე სიმძლავრენი ვერ აკმაყოფილებს ჩვენი რესპუბლიკის მოთხოვნილებას.

საქართველოს მეცხოველეობაში ცილების დეფიციტი ამჟამად შეადგენს 40 პროცენტს, რაც იწვევს ამ დარგის პროდუქტიულობის მკვეთრ შემცირებას, რომელიც ყოველწლიურად მრავალი ათეული ათასი ტონა დაკარგული ხორცითა და რძით გამოიხატება.

გარდა ცილების ქრონიკული დეფიციტისა, ჩვენი მეცხოველეობა არ არის დაზღვეული და პერიოდულად მსხვერპლს უღებს ბუნების ჭირვეულობას — გვალვას, უამინდობას — მოუსავლიან წლებს. ამას მოსდევს საკვები რესურსების (მარცვლეულის) შემცირება.

რესპუბლიკის მეცხოველეობის სუსტი ბაზა და მისი მცირე პროდუქტიულობა განაპირობებს მოსახლეობის მიერ მეცხოველეობის პროდუქციის მოხმარების დაბალ დონეს, რაც ჩამორჩება საშუალო საკავშირო მაჩვენებლებს. მაგალითად, ოფიციალური მონაცემებით, 1978

წელს, მოკავშირე რესპუბლიკათა შორის ერთ სულ მოსახლეზე გადაანგარიშებით, ხორცისა და ხორცის პროდუქტების მოხმარების მიხედვით მეთერთმეტე ადგილზე ვიყავით, რძისა და რძის პროდუქტების მოხმარების მიხედვით — მერვე ადგილზე, ხოლო კვერცხის მოხმარების მიხედვით — მეთერთმეტე ადგილზე.

მეცხოველეობის ცილოვანი საკვები ბაზის განმტკიცების და მისი პროდუქტიულობის გადიდების მაგისტრალურ მიმართულებად მიგვაჩნია, ერთი მხრივ, სოიის წარმოების გადიდება და, მეორე მხრივ, რესპუბლიკის მიკრობიოლოგიური მრეწველობის სიმძლავრეთა მომატება; მისი მოდერნიზაცია პროგრესული ტექნოლოგიის გამოყენების საფუძველზე, ჩვენი ქვეყნის მოწინავე გამოცდილების გათვალისწინებით.

## მცენარეული ოქრო

დღეისათვის როგორც ადამიანის კვებაში, ისე მეცხოველეობაში ცილების დეფიციტის დაძლევის ყველაზე რეალური საფუძველია „მცენარეული ოქრო" — სოია. თავისი ბიოლოგიური და საკვები ღირებულების თვალსაზრისით მცენარეული სამყაროს ვერც ერთი წარმომადგენელი ვერ შეედრება სოიას, რომლის შემადგენელი ცილები ყველაზე მეტად უახლოვდება ცხოველური წარმოშობის ცილებს.

როდესაც სპეციალისტებს შორის ჩამოვარდება ხოლმე სოიაზე ლაპარაკი, ხშირად გაიგონებთ შემდეგ პოპულარულ გამოთქმას: — „სოია შეიცავს ხორცზე მეტ ცილებს, რძეზე მეტ კალციუმის მარილებს, კვერცხზე მეტ ლეციტინს და ამავე დროს იგი ამდიდრებს ნიადაგს აზოტით, აუმჯობესებს მის სტრუქტურას".

ჩვენ გვინდა დავაზუსტოთ, რომ ეს ნათქვამი მხოლოდ ფიგურალური გამოთქმა როდია. სოია შეიცავს 40 პროცენტ ცილებს, 20 პროცენტ ცხიმებს, 20 პროცენტ ნახშირწყლებს, 5 პროცენტ მინერალურ ნივთიერებებს, „ა", „ბ", „ც", „დ", „ე" ვიტამინებს, პოლიუჯერ ცხიმოვან მჟავებს...

სოიის ზეთს, ჩვენი ორგანიზმის მიერ მისი შეთვისების კოეფიციენტის (98%) მიხედვით, არაფერი არ შეედრება მცენარეულ ზეთებს შორის.

სოიის ცილები დადებითს როლს ასრულებენ კუჭ-ნაწლავის, თირკმელების დაავადებისას. ცილებში შემავალი ამინომჟავა მეთიონინი ითვლება ანტისკლეროზულ ნივთიერებად, რომლის ძირითად წყაროდ ადამიანის კვებაში ხაჭო ითვლება. საინტერესოა, რომ სოია ორჯერ უფრო მეტი რაოდენობით შეიცავს მას. სოიაში შემავალი მინერალური ნივთიერებები ხელს უწყობს ნერვული სისტემის ნორმალიზაციას და ძვლოვანი ქსოვილის წარმოშობას.

ჩინელი და იაპონელი ექიმების დასკვნით, სოიისაგან დამზადებული რძე წარმატებით გამოიყენება ალერგიული ჩვილი ბავშვების საკვებად. სოია უძველესი კულტურული მცენარეა და შესაძლოა იგი პირველთაგანია, რომელიც მოჰყავდა პირველყოფილ ადამიანს. მისი სამშობლო სამხრეთ-აღმოსავლეთი აზიის და შორეული აღმოსავლეთის ქვეყნებია (ჩინეთი, ინდონეზია, იაპონია, ინდოეთი), სადაც მრავალი საუკუნის განმავლობაში ასრულებდა და დღესაც ასრულებს მოსახლეობის და შინაური ცხოველების ძირითადი საკვების როლს. სოიის კულტურაზე შექმნილია ლეგენდები და მითები. ძველ ჩინეთში სოიის თესვა განსაკუთრებული ცერემონიალით სრულდებოდა — პირველად იგი იმპერატორს უნდა დაეთესა.

ამერიკასა და ევროპაში სოია არცთუ ისე დიდი ხნის წინათ გახდა პოპულარული. მაგრამ მიუხედავად ამისა, იგი გადაიქცა მსოფლიო სასოფლო-სამეურნეო კულტურად, რომელიც თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკაში სულ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს. ამჟამად სოიის საერთო მოსავალი აღემატება 65 მილიონ ტონას, რომლის 70 პროცენტი ამერიკის შეერთებულ შტატებზე მოდის, ხოლო მეორე და მესამე ადგილები შესაბამისად უკავიათ ბრაზილიას და ჩინეთს. საბჭოთა კავშირის წილი მსოფლიო წარმოებაში ჯერჯერობით უმნიშვნელოა. სოიის წარმოების სწრაფი ზრდა შეერთებულ შტატებში გამოწვეული იყო ამ კულტურის პირუტყვისათვის ძვირფასი საკვები თვისებებით. გარდა ამისა ბოლო ხანებში სოიის ზეთზე და ფქვილზე მოთხოვნილება განუხრელად მატულობს. ცილების მიღების თვალსაზრისით სოიის კულტურის გაფართოების უპირატესობა ჩანს შემდეგი მონაცემებიდან: მიწის ერთ ჰექტარზე ნათესმა სოიამ წლის განმავლობაში შეუძლია მოგვცეს ერთ ტონამდე ცილა, სიმინდმა კი 400 კილოგრამამდე, ხორბალმა — 200 კილოგრამი. ამ ფაქტორებით აიხსნება, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში ერთობ ვითარდებოდა სოიის აგრობიოლოგიური, აგროტექნიკური შესწავლა და მისი გადამუშავების ტექნოლოგია. ამან უზრუნველყო უხვმოსავლიანი და მავნებლებისადმი გამძლე ჯიშების გამოყვანა, ნიადაგის დამუშავების და მოსავლის აღების მექანიზებული სისტემის და ტექნიკის შექმნა, აგრეთვე სოიის მარცვლისაგან მაღალხარისხოვანი ცილის კონცენტრატების და იზოლატების წარმოების ორგანიზაცია და კვების მრეწველობის ახალი დარგის — კვების ხელოვნური პროდუქტების წარმოების ჩამოყალიბება.

საბჭოთა კავშირში სოიის მოყვანას პირველად ხელი მიჰყვეს დასავლეთ საქართველოში (ჩაქვის მიდამოებში) გასული საუკუნის სამოცდაათიან წლებში, რისთვისაც თესლი იაპონიიდან და ჩინეთიდან შემოიტანეს. სოია საქართველოში გავრცელდა არა მარტო შესაფერისი კლიმატური პირობების გამო, არამედ იმიტომ, რომ თავდაპირველად აქ ცდილობდნენ სოია ისევე გამოეყენებინათ, როგორც ლობიო. იმხანად იგი მეტად პოპულარული იყო. გურიაში მას „იაპონიას" უწოდებდნენ, სამეგრელოსა და იმერეთში „მუხუდოს", „ძაძას" და „ქვალობიოს".

გასული საუკუნის მიწურულს საამქციო ამხანაგობამ ზესტაფონში გახსნა სოიის მარცვლის გადამამუშავებელი ქარხანა, რომელიც ყავა „არგოს" უშვებდა. ეს იყო სოიის სამრეწველო გადამუშავების პირველი შუქურა რუსეთის იმპერიაში. უნდა აღინიშნოს, რომ იმდენად მაღალი ხარისხის იყო ყავა „არგო", რომ ვაშინგტონის იმდროინდელი ადმინისტრაცია თავისი ბათუმის საკონსულოს მეშვეობით დაბეჯითებით თხოულობდა ამ პროდუქციის იმპორტს შეერთებულ შტატებში.

საბჭოთა კავშირში სოიის ნათესების სწრაფი ზრდა დაიწყო 1927-1930 წლებში, უმთავრესად საქართველოში, შორეულ აღმოსავლეთში, კრასნოდარის და სტავროპოლის მხარეებში, მოლდავეთში. სწორედ საქართველოში გამოიყვანეს შესანიშნავი ადგილობრივი ჯიშის სოია — „გურული", „იმერული", „კოლხიდა", „მოწინავე", „ადრეულა", „საქართველოს საოცრება", „ზამთრის პაპა" და სხვ.

ომამდე და ომის პერიოდში სოია მეტად პოპულარული იყო დასავლეთ საქართველოში. გურიის ლამაზ სოფელ ბუკისციხეში „იაპონიას" ყველა და ყველგან თესავდნენ — კოლმეურნეობის ზვრებში თუ საკარმიდამო ნაკვეთებზე, სიმინდის ყანებში თუ მანდარინის ბაღებში. იმხანად სოიას არა მარტო ცხოველების და ფრინველების ძვირფას საკვებად ხმარობდნენ, არამედ სოიის ფქვილს უმატებდნენ სიმინდის ფქვილს მჭადის გამოსაცხობად, ფილამუშის თუ ჩურჩხელების დასამზადებლად.

სოიას მარტო საქართველოში როდი სცემდნენ პატივს. სოიის იმ „ოქროს ხანაში" მოსკოვში არსებობდა სოიის შემსწავლელი სპეციალური სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, რომელიც მუშაობდა ამ ძვირფასი კულტურის როგორც აგრობიოლოგიური, ისე მისი გადამუშავების ტექნოლოგიის გასაუმჯობესებლად. იმხანად ამ ინსტიტუტში ნაყოფიერად მუშაობდა ჩვენი თანამემამულე, ამჟამად საქართველოს სასოფლო სამეურნეო ინსტიტუტის ღვაწლმოსილი პროფესორი გრიგოლ მეგრელიძე. ჩვენდა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ საბჭოთა კავშირში სწორედ ქართველი მეცნიერი არის სოიისაგან მთელი რიგი კვების პროდუქტების მიღების ტექნოლოგიის შემქმნის პიონერი. მისი დამსახურებაც იყო, რომ დიდ სამამულო ომამდე მოსკოვში სოიისაგან ამზადებდნენ კაკაოს, შოკოლადს, ხალვას, ყველეულს, კეფირს, კუმისს, კონცენტრატებს, სხვადასხვა საკონდიტრო ნაწარმს და პროდუქტებს.

ზედმეტი არ იქნებოდა გავიხსენებინა ის ფაქტი, რომ ომის წლებში, ლენინგრადის ბლოკადის დროს, ამ ქალაქის რძის ქარხნებმა გამოუშვეს რამდენიმე მილიონი ბოთლი სოიის რძე, რომელმაც მრავალი ბავშვი გადაარჩინა.

სამწუხაროდ, ჩვენი უმადურობისა თუ სხვა სუბიექტური მიზეზების გამო, ომის შემდგომ პერიოდში სოიის ნათესები მკვეთრად შემცირდა და პრაქტიკულად შორეული აღმოსავლეთის რეგიონშიღა შემორჩა.

მეცხოველეობის მუშაკებმა კარგად იციან, რომ სერიოზული ლაპარაკი ამ დარგის განვითარებაზე არ შეიძლება, თუ არ იქნება შექმნილი მაღალი ბიოლოგიური ღირებულების მტკიცე საკვები ბაზა. სწორედ ცილებია ცოცხალი ორგანიზმის განვითარების ყველაზე საჭირო და მთავარი ნივთიერება, რომლის ყველაზე მდიდარ წყაროს, როგორც უკვე ვთქვით, მცენარეთა უმდიდრესი ფონდიდან სოია წარმოადგენს.

დღეს შეიძლება ითქვას, რომ სოიის კულტურა ხელახლა „აღმოაჩინეს": ჩვენს ქვეყანაში სოიის აღორძინების პერიოდი სამოციან წლებში დაიწყო, რომლის მძლავრი ბაზა შეიქმნა ამურის ოლქში, ხაბაროვსკის და ზღვისპირეთის მხარეებში, სადაც ამ კულტურამ წამყვანი ადგილი დაიკავა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ეკონომიკაში. ამიერკავკასიაში სოიას ჯერჯერობით გაცილებით მოკრძალებული ადგილი უკავია.

ჩვენი მიზანი არ არის ამ მეტად დაბალი მაჩვენებლების დაწვრილებითი ანალიზი, მაგრამ ერთი კი ცხადია, რომ უკვე დიდი ხანია დადგა დრო, რომ სათანადოდ შეფასდეს სოიის კულტურის საჭიროება. როგორც ჩანს, არსებობს მიზეზები, რომლებიც ამუხრუჭებს სოიის ხვედრითი წონის გადიდებას რესპუბლიკის სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში. ერთ-ერთი ფაქტორი ეკონომიკური ხასიათისაა: სოიის მარცვლის შესყიდვის ფასები საშუალებას არ იძლევა რაიმე კონკურენცია გაუწიოს სოიამ ისეთ კულტურებს, როგორიც არის ჩაი, ყურძენი, ციტრუსები, ტუნგი და სხვა. ალბათ, მომავალში უფრო დაბეჯითებით უნდა ავამოქმედოთ ეკონომიკური სტიმულირების ბერკეტები, ვინაიდან ამას მოითხოვს ინტენსიური მეცხოველეობის სასიცოცხლო ინტერესები, რომლის პროდუქცია გადამწყვეტ როლს ასრულებს მოსახლეობის სრულფასოვანი კვების პროდუქტებით უზრუნველყოფაში.

სოიის დიდი პატრიოტის და ცნობილი სპეციალისტის აკაკი აფხაზავას აზრით, სოიის უხვი მოსავლიანობის წინაპირობა ოპტიმალური აგროტექნიკური პირობების დაცვაა, რომელთაგან უპირველესი მნიშვნელობა ენიჭება ნიადაგის წინასწარ მომზადებას და მოსწორება-მოშანდაკებას, საადრეო ჯიშების გამოყენებას, თესვის დროულად ჩატარებას, ეფექტიანი ჰერბიციდების შერჩევას, მოსავლის მექანიზებულ აღებას.

საქმე ის არის, რომ სოიის სათეს პლანტაციებში ოღრო-ჩოღრო ადგილების მოსპობა და ზედაპირის მოსწორება არა მარტო უზრუნველყოფს თესვის მაღალ ეფექტიანობას და ნათესის მოვლა-დამუშავებას, არამედ მოსავლის მექანიზებული წესით აღების დროს სოიის ბუჩქის საჭირო სიმაღლეზე მოჭრას და მარცვლის დანაკარგების გამორიცხვას.

ამჟამად დარაიონებული ქართული ჯიშის სოია მეტწილად საგვიანო ჯიშებია, რომელთა სრული სიმწიფის ფაზა ემთხვევა გვიანი შემოდგომის უამინდობას, როცა მეტად გართულებულია მოსავლის უდანაკარგო აღება. ამ ასპექტით დიდ აქტუალობას იძენს საადრეო ჯიშის სოიის გამოყენება, რომელთაგან ჩვენი რესპუბლიკის პირობებში ეფექტიანი აღმოჩნდა ისეთი ჯიშები, როგორიც არის „ვილიამსი", „ბისონი" და სხვა.

საადრეო ჯიშების დანერგვა საშუალებას მოგვცემს უკვე სექტემბერში დავიწყოთ სოიის მოსავლის აღება, როდესაც ამინდის ხელსაყრელი პირობებია, როგორც მოსავლის აღებისათვის, ისე სოიის მარცვლის გამოშრობისათვის.

რადგან სოიას ხანგრძლივი სავეგეტაციო პერიოდი აქვს, ამიტომ საჭიროა დროზე დაითესოს. თესვის ოპტიმალური ვადა კი 15-30 აპრილია. ამ ვადების დარღვევა იწვევს სიმწიფის ვადების გადაწევას ნოემბერ-დეკემბერში და მოსავლის დანაკარგებს. დასანანია, რომ ენერგიული შრომის შედეგად მოყვანილი სოიის მდიდარი მოსავალი სპეციალური კომბაინების დეფიციტის და ხელით შრომის თითქმის შეუძლებელ პირობებში, არც თუ ისე იშვიათად, სანახევროდ მინდორში რჩება, ეტყობა, კოლხეთის რეგიონში აქტუალურია მუხლუხა „სკდ-5 რ" მარკის კომბაინების მეტი რაოდენობით პრაქტიკაში დანერგვა, რომელთა გამოყენება ჭარბტენიან ნიადაგებში სოიის მარცვლის უდანაკარგო აღების ერთადერთი პირობაა.

სოიის მარცვლის ხარისხის, მასში ცილების რაოდენობის შენარჩუნების და შენახვის ვადების გახანგრძლივების თვალსაზრისით არანაკლები მნიშვნელობა აქვს აღებული მარცვლის დაუყოვნებლივ გაშრობას 12-14 პროცენტ ტენიანობამდე.

საქართველოში სოიის წარმოების ზრდის მთავარ მიმართულებად უნდა ჩაითვალოს ამ კულტურის წარმოების ტექნოლოგიის ინდუსტრიულ რელსებზე გადაყვანა, რაც ითვალისწინებს სოიის ე. წ. წმინდა ნათესებს, მისი ცალკე პლანტაციების სახით კულტივირებას, შესაფერისი ჯიშების და ჰერბიციდების გამოყენებას, აგრეთვე თესვის, ნათესების მოვლის, მოსავლის აღების და დამუშავების კომპლექსურ მექანიზაციას.

ერთი შეხედვით სოია და პოლიტიკა მეტად დაშორებული ცნებებია, მაგრამ თუ დღეს მსოფლიო პოლიტიკის ფორმირებაზე და კაპიტალისტურ სამყაროს კლიმატზე გარკვეულ ზეგავლენას ახდენს „მოტორების პური" — ნავთობი, ასევე არ არის გამორიცხული, რომ ხვალ ასეთივე გლობალური როლი დაეკისროს სოიას — საკვები ცილების ამ მდიდარ „ბეღელს". ასეთი ტენდენცია სულ უფრო გამოხატულ ფორმებს იღებს: საერთაშორისო ვაჭრობაში, ხორბალთან ერთად, შესამჩნევ ადგილს იკავებს სოიის მარცვალი. მაგალითად, დასავლეთ ევროპის ქვეყნების მეცხოველეობის ცილოვანი საკვების ბაზა 70-90 პროცენტით დამოკიდებულია ამერიკის შეერთებული შტატებიდან იმპორტირებულ სოიაზე.

## ქიმიური?—არა, ხელოვნური პროდუქტები!

მხატვრული ფანტასტიკური ლიტერატურის გავლენით ხალხში ფართოდ არის დამკვიდრებული წარმოდგენა, რომ ხელოვნური საკვები — ეს არის ქიმიურ ნივთიერებათა აბები, რომლებიც პერიოდულად უნდა ვყლაპოთ ყოველგვარი გემოსი და სიამოვნების გარეშე. სინამდვილეში კი ყველაფერი სხვაგვარად ხდება.

ადამიანის კვების მომავალი გაცილებით უფრო ლამაზ ფერებში იხატება, ვიდრე ეს ზოგიერთ ფანტასტს წარმოუდგენია. საქმე ის არის, რომ კვების ხელოვნური პროდუქტები ისეთი მიმზიდველი, გემრიელი და მადის მომგვრელი უნდა იყოს, როგორც ეს შეესატყვისება ადამიანის მილიონი წლების განმავლობაში ჩამოყალიბებულ კვების ფიზიოლოგიას და ფსიქოლოგიას.

ამჟამად უკვე მიღებულია და ზოგიერთ ქვეყანაში სამრეწველო მასშტაბით მზადდება ხელოვნური პროდუქტი ანუ „უხორცო ხორცი", „ურძეო რძე", „უთევზო თევზი" და ა. შ. კვების პროდუქტების ასეთ ანალოგებში იმიტირებულია ტრადიციული ნატურალური ხორცის და ხორცის პროდუქტების, რძის, ყველის, თევზის და სხვა პროდუქტებისათვის დამახასიათებელი შესახედაობა, ფერი, კონსისტენცია, გემო და სუნი. ეს იმდენად მაღალი ხარისხის იმიტაციაა, რომ წინასწარ არაინფორმირებული მომხმარებელი ჩვეულებრივად მადიანად შეექცევა ასეთ პროდუქტებს და ვერ ატყობს, რომ მის ბიფშტექსში ან სოსისში არ იყო არც ერთი გრამი საქონლის ან ღორის ხორცი. ასეთი ანალოგების დასამზადებლად ჩვეულებრივად გამოიყენება სოიის ცილებისაგან თერმოპლასტიკური ექსტრუზიის ან დართვის შედეგად მიღებული ცილოვანი ბოჭკოები. შემდეგ ხდება მათი ორიენტაცია, ერთმანეთთან დაკავშირება და სხვა საკვები კომპონენტები — ცხიმების, ნახშირწყლების, მინერალური ნივთიერებების, ვიტამინების, ცალკეული ამინომჟავების, ფერის, გემოს და სუნის მომცემი ბუნებრივი ან სინთეზური ნივთიერებების დამატება, რომლებიც დაშვებულია სანიტარიული ორგანოების მიერ კვების მრეწველობაში. სოიის ცილების ბაზაზე დამზადებული ხელოვნური პროდუქტები, სპეციალური ტექნოლოგიის გამოყენებით თავისი ორგანოლეპტიკური თვისებების მიხედვით ადეკვატურია შესაბამისი ნატურალური პროდუქტებისა, ისინი ხასიათდებიან ბიოლოგიური ტოლფასოვნებითაც. სწორედ ამ მიზნით მათ რეცეპტურაში შეტანილია ზოგიერთი ამინომჟავა, ვიტამინები და მინერალური ნივთიერებები. თუმცა სოიის ცილების ბაზაზე დამზადებულ კვების პროდუქტებს უწოდებენ ხელოვნურს, ან უფრო ზუსტად ანალოგებს — ამ შემთხვევაში მხედველობაში აქვთ მხოლოდ ის გარემოება, რომ მათი შემადგენელი ნივთიერებების კომპოზიცია და ფიზიკური სტრუქტურა ხელოვნური გზით არის შექმნილი. რაც შეეხება მათ შემადგენლობას, კვების ხელოვნური პროდუქტები მხოლოდ და მხოლოდ ნატურალური, ბუნებრივი წარმოშობის საკვები ნივთიერებებისგან შედგება. აქ მნიშვნელოვანია, რომ მკითხველი ასცდეს ცრუ წარმოდგენას ამგვარი კვების პროდუქტების არასრულფასოვნებაზე ან კიდევ უფრო მეტად — ადამიანის ორგანიზმისათვის მათი მავნებლობაზე.

დავიწყოთ იქიდან, რომ კვების ხელოვნურ პროდუქტებს მთელი რიგი უპირატესობანი აქვთ.

ნედლეული, რომელიც გამოიყენება მათ დასამზადებლად, თავისუფალია პათოგენური მიკროფლორისაგან, რომელიც იწვევს სხვადასხვა საშიშ დაავადებას და ეპიდემიებს; ანალოგების წარმოება პერსპექტიულია არა მარტო იმით, რომ თითქმის ორჯერ გაზრდის სრულფასოვანი ცილოვანი კვების პროდუქტების რესურსებს მიწათმოქმედების იგივე მასშტაბების დროს, არამედ შექმნის იმის საშუალებას, რათა დავამზადოთ კვების პროდუქტები წინასწარ განსაზღვრული შემადგენლობით, თვისებებით და დანიშნულებით, რაც დააკმაყოფილებს მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფების და კატეგორიების მოთხოვნილებებს საბავშვო, დიეტური, სამკურნალო და პროფილაქტიკური კვების გათვალისწინებით.

ერთი შეხედვით პარადოქსულია, მაგრამ ფაქტია ის გარემოება, რომ ნატურალური რძის შემადგენელ ყველა კომპონენტს ყოველთვის ვერ ითვისებს ადამიანის ორგანიზმი. ასეთ ნივთიერებას მიეკუთვნება ლაქტოზა ანუ რძის შაქარი. ადამიანის ორგანიზმში ლაქტოზას შეთვისების უნარი მკვეთრად მცირდება, როცა ბავშვს ძუძუს მიატოვებინებენ, და მინიმალურ დონეს აღწევს 30-40 წლის ასაკში. სხვადასხვა ადამიანს ცოტად თუ ბევრად გამოსახული აქვს ლაქტოზური ინტოლერანტობა, რაც ნიშნავს ორგანიზმის მიერ რძის შაქრის მონელების უნარის დაკარგვას. იგი იწვევს საჭმლის მომნელებელი სისტემის ნორმალური ფუნქციონირების მოშლას, რაც განსაკუთრებულ მძიმე შემთხვევაში არ გამორიცხავს სიკვდილსაც კი. ეს ფენომენი გენეტიკური წარმოშობისაა და ფართოდ არის გავრცელებული აზიის ქვეყნებში და სამხრეთელთა, მათ შორის ქართველების შორის. სწორედ ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ ჩვენში, ტრადიციულად, ჭარბობს არა რძის, არამედ რძის გადამუშავების პროდუქტების — მაწონის, კეფირის, ნადუღის, ყაიმაღის, დოს, ყველის მოხმარება.

ჩვენი ცნობილი მედიკოსის პროფესორ გურამ გურგენიძის აზრით, საქართველოში სერიოზულ პრობლემად იქცა ალერგიული ბავშვების, განსაკუთრებით კი ხელოვნურ კვებაზე მყოფი ჩვილი ბავშვების რძით კვების ორგანიზაცია. საქმე ის არის, რომ ძროხის რძის შემადგენლობაში მყოფი ცილა-ლაქტოგლობულინი ძლიერი ალერგენია, რომელიც იწვევს მეტად არასასურველ გართულებებს.

აღნიშნული პრობლემები ერთბაშად მოიხსნება ხელოვნური რძის წარმოების ორგანიზაციის შედეგად, რაც არა მარტო გაზრდის ამ ძვირფასი პროდუქტის რესურსებს, არამედ ამავე დროს ხალხი მიიღებს ახალი, გაუმჯობესებული სამედიცინო-ჰიგიენური და ფიზიოლოგიური თვისებების მქონე რძეს. ამ ასპექტით ხელოვნური რძის წარმოება განვითარებულ ქვეყნებში მიმდინარეობს უპირველეს ყოვლისა საბავშვო დიეტური და სამკურნალო კვების დასაკმაყოფილებლად, ხელოვნურ რძეში შეცვლილია ლაქტოზა სხვა შაქრით, ხოლო ლაქტოგლობულინი სოიის ცილით. იაპონიაში გამოდის ახალი სახეობის რძე „აკადი" სადაც ლაქტოზა ფერმენტული პრეპარატებით დაშლილია გლუკოზად და გალაქტოზად.

ხელოვნური რძის მაღალი ბიოლოგიური ღირებულების უზრუნველსაყოფად გამოიყენებენ სხვადასხვა ცილების კომბინაციას, სადაც შესანიშნავად არის ბალანსირებული სასიცოცხლო ამინომჟავათა რაოდენობა. ამ პრინციპზეა დამყარებული სოია-სიმინდის, სოია-ხორბლის ნარევისაგან მიღებული რძე, რომელიც ფართოდ გამოიყენება საბავშვო კვებისათვის საჭირო სასმელებისა და ქაშების დასამზადებლად.

ხელოვნური პროდუქტების წარმოების ტექნოლოგია ითვალისწინებს წმინდა საკვები ნივთიერებების გამოყენებას, რომლებიც დიდხანს ინახება, რაც ეკონომიკურად ეფექტიანია და გამორიცხავს გეოგრაფიულ, კლიმატურ-სეზონური ფაქტორების ზემოქმედებას ამ სახეობის პროდუქციის გამოშვებაზე. კვების პროდუქტების დამზადების ეს ტექნოლოგია გამორიცხავს დიდ დანაკარგებს სოფლის მეურნეობის პროდუქტების შენახვისა და ტრანსპორტირების დროს. ცნობილია, რომ ასეთი დანაკარგები 25-50 პროცენტს უდრის.

ამ პროდუქტების მოხმარება მოსპობს მთელ რიგ მძიმე დაავადებას. მაგალითად, ზოგიერთ ახალშობილს მოშლილი აქვს ფენილალანინჰიდროქსილაზური ფერმენტული სისტემა, რაც იმას ნიშნავს, რომ ვითარდება ტვინის დეგენერაცია. ამ პათოლოგიის დროს ჩვენს საკვებში არსებული ფენილალანინი გადადის ფენილპიროყურძენის მჟავაში, რომელიც წამლავს თავის ტვინს. ნორმაში ფენილალანინი ჩვეულებრივად გადადის ტიროზინში, ასეთი ბავშვების დიეტაში ფენილალანინის გამოთიშვა და მისი ტიროზინით შეცვლა დაავადებას შველის.

ამ პროდუქტებს აქვთ დიეტური თვისებები, რადგან არ შეიცავენ ქოლესტერინს, რომელიც ყველა ცხოველური წარმოშობის პროდუქტის თანამგზავრია და არ არის სასურველი ადამიანის ორგანიზმში ცხიმოვანი ნივთიერებების ცვლის მოშლის შემთხვევაში, ათეროსკლეროზის და სხვა დაავადებებისას.

კვების პროდუქტების ამა თუ იმ ანალოგის „კონსტრუირების" დროს დაცულია რაციონალური და ბალანსირებული კვების ძირითადი პრინციპი, ცილების, ცხიმების და ნახშირწყლების ურთიერთრაოდენობრივი შეფარდება 1:1:4, ე. ი. ერთ გრამ ცილაზე რეკომენდებულია ერთი გრამი ცხიმი და 4 გრამი ნახშირწყლები.

ცხადია, რომ კვების პროდუქტების ამგვარი „დაპროექტების" დროს ჩვენ წინაშე ისახება მეტად ხელსაყრელი პერსპექტივა, როდესაც სრულიად რეალურია გამოვუშვათ სურსათი ადამიანის ასაკის, მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის, შრომის ხასიათის და ფიზიკური დატვირთვის ინტენსიურობის, კლიმატის, ეროვნული თავისებურებისა და ტრადიციის გათვალისწინებით. ყველას შეეძლება ექიმ-დიეტოლოგის რეკომენდაციის და საკუთარი გემოვნების მიხედვით ამოირჩიოს თავისი საუზმის, სადილის და ვახშმისათვის გარკვეული სურსათი. ეს კი ნიშნავს, რომ ჩვენი კვების სფეროში მოვახდენთ „პატარა" რევოლუციას, რის შედეგად საფუძველი ჩაეყრება კვების ინდუსტრიის ფაქტობრივად ახალი დარგის განვითარებას, რომელიც ყველა სხვა უპირატესობასთან ერთად თავისუფალი იქნება სეზონურობისაგან.

ეკონომიკური თვალსაზრისით სოიის ბაზაზე დამზადებული პრო-



დუქტების ანალოგების წარმოება მეტად ეფექტიანია, ვინაიდან, მაგალითად, სოიის ცილა 11-ჯერ უფრო იაფია, ვიდრე საქონლის ხორცის ცილა. ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ კვების პროდუქტების ამგვარი ტექნოლოგიით დამზადება არ ეწინააღმდეგება და არ გამორიცხავს სურსათის წარმოების ტრადიციულ მეთოდებს. იგი შეავსებს მის ხარვეზებს, რომ უფრო კომპლექსურად და ღრმად გადაამუშაოს დედამიწის მიერ მოცემული საკვები რესურსები, რათა მეტად დააკმაყოფილოს ხალხის სწრაფად მზარდი უპირველესი მოთხოვნილება.

უკვე რამდენიმე ათასი წელია, ადამიანი სოიას საკვებად იყენებს. შორეული აღმოსავლეთის ქვეყნებში სოია — ეს იგივე ხორცი და ფქვილია, რძე და ხაჭოა, ზეთი და საწებელაა. პირველად სწორედ ამ რეგიონში აღმოცენდა სოიის სხვადასხვა კვების პროდუქტად გადამუშავების ტექნოლოგია, სოიისაგან რძის და ხაჭოს მიღების ტექნოლოგია პირველად ჩინელმა ფილოსოფოსმა ვან ნან ძიმ შეიმუშავა 2.200 წლის წინათ. დღეს ჩინელები თითქმის არ სვამენ ძროხის რძეს, მაგრამ ამავე დროს ისინი დიდ პატივს სცემენ სოიის რძეს, სოიის ხაჭო ჩინეთში ცნობილია, როგორც „თოფუ", იაპონიაში — „თოფუ", ინდოჩინეთში — „დანფუ". მას ზოგჯერ მცენარეულ ხორცს უწოდებენ.

ამერიკის შეერთებულ შტატებსა და იაპონიაში დღეისათვის უკვე ათვისებულია სოიის ცილების გამოყენების ბაზაზე კვების პროდუქტების (ძირითადად ხორცის, თევზის, რძის პროდუქტების) ანალოგების სამრეწველო მასშტაბით წარმოება. მაგალითად, ამერიკული ფირმა „უორთინგტონ ფუდზი" დღეისათვის აწარმოებს 50 დასახელების სხვადასხვა პროდუქტს — ხელოვნურ ბიფშტექსებს, ბეკონს, სოსისებს, გოჭის, ხბოს ხორცს, კატლეტებს, ხორცის კონსერვებს, შემწვარ თევზს, ყველს, რძეს, ნაღებს, იტალიურ „პიცას" (ხაჭაპურის ნაირსახეობა) და ა. შ. ყველა ზემოხსენებული პროდუქტი გამოდის სალი, გაყინული ან დაკონსერვებული სახით, შეფუთულია ლამაზად გაფორმებულ მუყაოს კოლოფებში და იყიდება იქაურ ნებისმიერ სუპერმარკეტში გაცილებით იაფად, ვიდრე ნატურალური პროდუქტები.

ბოლო ხანს ამგვარი პროდუქტების პოპულარობა იზრდება, და ამერიკელი ეკონომისტების გაანგარიშებით 1985 წლის სოიის ბაზაზე დამზადებული ხორცის ხვედრითი წონა მიაღწევს 15 პროცენტს, [illegible] 3,7 მილიონ [illegible] საქონელს, 6,4 მილიონ ღორს და 0,6 მილიონ ცხვარს. ამის შედეგად განთავისუფლდება ცხოველებისათვის საჭირო საკვები კულტურებით დაკავებული 1,2 მილიონი ჰექტარი მიწის ნაკვეთი და პარალელურად გაიზრდება ცილის მისაღებად საჭირო სოიის ნათესები, ვარაუდობენ, რომ დასავლეთ ევროპის ქვეყნებშიც სწრაფად გაიზრდება ხორცის და რძის პროდუქტების ანალოგების მოხმარება, რის შედეგად მომავალ ათ წლიწადში ამ ქვეყნების მოსახლეობის კვების რაციონში მათი შემცველობა 12-13 პროცენტს მიაღწევს.

ადამიანის კვებაში სოიის ცილების გამოყენების მეორე და უფრო გავრცელებულ მიმართულებად ითვლება სხვადასხვა ტრადიციულ პროდუქტში, უმთავრესად ხორცის პროდუქტებში, მათი დამატება ე. წ. „შემავსებლის" სახით. ეს იმით არის გაპირობებული, რომ სოიის ცილები თავისი ბიოლოგიური და საკვები ღირებულებით მეტად უახლოვდება ხორცის ცილებს, აქვს ცხიმის და წყლის შეთვისების მაღალი უნარი, რითაც არა მარტო იზრდება მზა ნაწარმის გამოსავლიანობა, არამედ უმჯობესდება პროდუქტის გემოვანი თვისებები, ფერი, ცვრიანობა (წვნიანობა).

მეორე და მესამე ხარისხის ხორცისაგან დამზადებულ ძეხვეულში სოიის ცილების დამატებას ის უპირატესობაც აქვს, რომ სოიის სრულფასოვანი ცილების ხარჯზე იზრდება მზა ნაწარმის ბიოლოგიური და საკვები ღირებულება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ხორცის პროდუქტების რესურსების გადიდების და მისი ხარისხის გაუმჯობესების მიზნით ჩვენი ქვეყნის ხორცის მრეწველობაში სულ უფრო მეტად იყენებენ სოიის ცილებს. ამასთან დაკავშირებით საქართველოს ხორცის და რძის მრეწველობის სამინისტროს სასახელოდ უნდა ითქვას, რომ იგი მნიშვნელოვან ღონისძიებებს ახორციელებს ხორცის რესურსების რაციონალურად გამოყენების მიმართულებით და საკმაოდ კარგი მაჩვენებლებითაც. მიმდინარე წლის საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე გამართულ სოიის ცილების დანამატებით დამზადებული ძეხვეულის საკავშირო დათვალიერება-კონკურსში თავისი მაღალი ხარისხით პირველი პრიზი დაიმსახურა თბილისის ხორცკომბინატის პროდუქციამ. ეჭვს გარეშეა, რომ ეს მიმართულება პერსპექტიული და აქტუალურია, ვინაიდან არათუ ქვეითდება პროდუქციის საკვები ღირებულება, არამედ სოიის ცილების გამოყენება ადიდებს კიდეც ხარისხსა და გამოსავლიანობას, რის გამოც მცირდება თვითღირებულება და მაღლდება ეკონომიკური ეფექტიანობა.

საკმარისია აღინიშნოს, რომ სოიის ცილების 2 პროცენტის რაოდენობით დამატება იძლევა ნატურალური ხორცის რესურსების 10 პროცენტ ეკონომიას. სოიის ცილების დამატება პურში აუმჯობესებს ფერს, სტრუქტურას და გემოს და, რაც მთავარია, მის ბიოლოგიურ ღირებულებას, ვინაიდან ამდიდრებს ამინომჟავა ლიზინის რაოდენობას, რომელიც პურში პრაქტიკულად არ შედის. გარდა ამისა, ადიდებს მზა ნაწარმის შენახვის ვადებს.

კვების ხელოვნური პროდუქტების წარმოების სფეროში ჩვენს ქვეყანაშიც არის მიღწეული გარკვეული წარმატებები. საკმარისია აღინიშნოს ხელოვნური შავი ხიზილალა, რომელიც ერთი მხრივ, თავისი გემოვანი თვისებებით თითქმის იდენტურია ნატურალური ხიზილალისა, ხოლო მეორე მხრივ, გაცილებით იაფია და კილოგრამი ღირს 10 მანეთი — ეს პროდუქტი მზადდება არატრადიციული ნატურალური ინგრედიენტებისაგან (ნავთობის პროდუქტები აქ არაფერ შუაშია) და ამჟამად ქ. მოსკოვის სავაჭრო ქსელში რეგულარულად, მცირე პარტიების სახით გამოდის „ცილოვანი ხიზილალის" სახელწოდებით. უნდა ითქვას, რომ ეს პროდუქტი მეტად ყუათიანია და დიდი მოწონება დაიმსახურა მომხმარებელთა შორის. მიზანშეწონილად მიგვაჩნია დაიწყოს მისი წარმოება თბილისში კვების მრეწველობის ან ვაჭრობის სამინისტროთა ობიექტების ბაზაზე. ხელოვნური ხიზილალის დამზადების ტექნოლოგია მეტად მარტივია, მოითხოვს მცირე საწარმოო ფართობს და ხორციელდება სრული ავტომატიზაციის საფუძველზე. ამ იდეის პრაქტიკული რეალიზაციისათვის საჭიროა მხოლოდ დაინტერესება, ინიციატივა და მონდომება, სამაგიეროდ, თბილისელთათვის, გარკვეულ წილად, გადაიჭრება კვების პროდუქტთა შორის ყველაზე დეფიციტური და ძვირად ღირებული დელიკატესის შეძენის პრობლემა. დარწმუნებული ვართ, რომ ეს პროექტი დიდ მოწონებას დაიმსახურებს და კომერციულ წარმატებას მოიპოვებს მოსახლეობაში, განსაკუთრებით კი ბავშვებს შორის.

კვების ტრადიციული პროდუქტების ბიოლოგიური ღირებულების და ხარისხის ამაღლების, აგრეთვე რესპუბლიკაში კვების მრეწველობის ახალი დარგის — ხელოვნური პროდუქტების წარმოების განვითარების და პროგრესის წანამძღვარს წარმოადგენს მეცნიერული კვლევის გაფართოება და გაღრმავება, რაც უზრუნველყოფს ამ ახალი წარმოების თეორიული და ტექნოლოგიური საფუძვლების შექმნას. ამ ასპექტით საჭიროა რეალური ნაბიჯის გადადგმა, რათა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სოლიდურ საფუძველზე, გაიშალოს მეცნიერული მუშაობა სრულფასოვანი ხელოვნური ცილოვანი კვების პროდუქტების ტექნოლოგიის და ხარისხის კვლევის პრობლემებზე.

**თენგიზ ცინცაძე,**
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტი.

# საერთაშორისო ცხოვრება
# დედამიწის ზურგზე

*გვატყობინებენ საქპრესისა და ახალი ამბების სააგენტოს კორესპონდენტები*

## ერთგული მეგობარი

**ინდირა განდის ინტერვიუ**

**დელი**, 23 იანვარი. „საბჭოთა კავშირი ინდოეთის ერთგული მეგობარია. იგი გვეხმარებოდა ეკონომიკურ განვითარებაში და მხარს უჭერდა ჩვენს პოზიციას ბევრ დიდმნიშვნელოვან საერთაშორისო პრობლემაზე. იგი მუდამ უწევდა დახმარებას აზია-აფრიკის ქვეყნებს თავისუფლებისათვის ბრძოლაში", — განაცხადა ინდოეთის პრემიერ-მინისტრმა ინდირა განდიმ.

დიდი ეროვნული დღესასწაულის — ინდოეთის რესპუბლიკის 30-ე წლისთავის დღის წინ საბჭოთა ჟურნალისტებისათვის მიცემულ ინტერვიუში მან თქვა: ჩვენ ბევრი საერთო შეხედულება გვაქვს. როგორც ცნობილია, საბჭოთა კავშირი ეხმარებოდა ინდოეთს მეტალურგიული ქარხნების მშენებლობაში, რომლებსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვთ განვითარებადი ქვეყნის თვითუზრუნველყოფისათვის. ბევრ სხვა სფეროშიც თანაგვიგრძნობდა, როცა გვიჭირდა და როცა ბევრი სხვა ქვეყანა ჩვენს წინააღმდეგ გამოდიოდა. აი რატომ ვაფასებთ საბჭოთა კავშირთან მეგობრობას.

უაღრესად გულთბილი და სასიამოვნო მოგონებები დამრჩა საბჭოთა კავშირში ჩემი არაერთი მოგზაურობის შესახებ, აგრეთვე ინდოეთში საბჭოთა ხელმძღვანელების, სხვადასხვა საბჭოთა დელეგაციის ვიზიტების შესახებ. აღნიშნა მან. ყოველი ასეთი ვიზიტი განამტკიცებს ჩვენს ურთიერთობას.

თქვენ იცით, რომ ჩვენი საგარეო პოლიტიკის ხუროთმოძღვარი მამაჩემი ჯავაჰარლალ ნერუ იყო. სწორედ მან ჩაუყარა საფუძველი ინდოეთისა და საბჭოთა კავშირის მეგობრობას, ჩვენ კი მხოლოდ მის კვალს მივყვებით, ხაზი გაუსვა ი. განდიმ. ისიც არ არის, რომ ჩვენი საგარეო პოლიტიკა მიუმხრობლობის პოლიტიკაა. ამიტომ სხვადასხვა პრობლემას ჩვენი ეროვნული ინტერესების თვალსაზრისით ვუდგებით. ბუნებრივია, ძალიან მოხარული ვართ, როცა ეს ინტერესები ემთხვევა მეორე დიდი ქვეყნის ინტერესებს, რისი მეოხებითაც შეგვიძლია მეგობრები ვიყოთ.

## უარყოფენ სიცრუეს

**ქაბული**, 22 იანვარი. ბახთარის სააგენტომ გამოაქვეყნა ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადება. ამ განცხადებაში იგი საკადრის პასუხს აძლევს იმპერიალისტებისა და პეკინის პროპაგანდის ცილისმწამებლურ მონაჭორებს იმის შესახებ, თითქოს ჰ. ამინის ოჯახის წევრები წამებით დახოცეს ან სიკვდილით დასაჯეს. განცხადებაში ხაზგასმულია, რომ ამინის გარდა, რომელსაც რევოლუციურმა ტრიბუნალმა სიკვდილი მიუსაჯა, და მისი ორი დამქაშის გარდა, რომლებიც წინააღმდეგობის გაწევის დროს დაიღუპნენ, ამინის ოჯახიდან არავინ მოუკლავთ.

## ზეგავლენას არ ემორჩილებიან

**ვაშინგტონი**, 22 იანვარი. ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ჯ. კარტერმა ტელევიზიით გამოსვლისას დაადასტურა, რომ შეერთებულ შტატებს განზრახული აქვს კვლავაც გააფართოოს სამხედრო მზადება სამხრეთ-დასავლეთ აზიაში, რამაც, როგორც ცნობილია, უკვე სერიოზული საფრთხე შეუქმნა მშვიდობას ამ რაიონში. „ჩვენ ვადიდებთ სამხედრო-საზღვაო ძალების რიცხვს ინდოეთის ოკეანის ჩრდილოეთ ნაწილში და სპარსეთის ყურის რაიონში და შემდეგშიც გავზრდით მას". — თქვა პრეზიდენტმა. მან აგრეთვე აღნიშნა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები გულდასმით სწავლობს ამ რეგიონში ამერიკის სამხედრო-საზღვაო ძალებისა და სამხედრო-საჰაერო ძალებისათვის ბაზების შექმნის შესაძლებლობას. ეს გაცხადებული სამხედრო საქმიანობა რომ გაამართლოს, ჯ. კარტერი ამტკიცებს, რომ, როცა ამის სანქციას იძლეოდა, იგი ხელმძღვანელობდა მისწრაფებით „თავიდან აეცილებინა სისხლისღვრა ამერიკა-ირანის კონფლიქტში".

პრეზიდენტმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები არ აპირებს გადადოს ირანის წინააღმდეგ სავაჭრო-ეკონომიკური სანქციების შემოღება, რომლებიც, როგორც მან განმარტა, განხორციელდება ან ცალმხრივი წესით, ანდა იმ მოკავშირეებთან ერთად, რომლებიც შეერთებულ შტატებს შეუერთდებიან.

ვაშინგტონის ზეგავლენის მიუხედავად, ამერიკის შეერთებული შტატების დასავლეთევროპელი მოკავშირეები, როგორც გაზეთი „ვაშინგტონ პოსტი" მოწმობს, არ იჩენენ სურვილს შეუერთდნენ ანტიირანულ კამპანიას.

## სერიოზული შეშფოთება

**თეირანი**, 23 იანვარი. ირანის საზოგადოებრიობა სერიოზულ შეშფოთებას გამოთქვამს ირანის რევოლუციის წინააღმდეგ შინაური და გარეშე რეაქციის ძალების ახალ შეთქმულებებთან დაკავშირებით.

თავრიზის აეროპორტში 20 შეთქმულის დაპატიმრება, წერს ირანის სახალხო პარტიის ორგანო გაზეთი „მარდომი", მოწმობს, რომ კონტრრევოლუციის ამგვარი ცენტრები შეიძლება იყოს სხვა ადგილებშიც, რადგან, დემოკრატიული ძალების მოწოდებათა მიუხედავად, რევოლუციის არმიასა და სახელმწიფო აპარატში შემდეგ არ მომხდარა შაჰის საიდუმლო პოლიციის — სავაკის თანამშრომლებისა და ყოფილი რეჟიმის სხვა მომხრეებისაგან თანამიმდევრული წმენდა. გაზეთი ხაზს უსვამს, რომ ირანში კონტრრევოლუცია ეყრდნობა ამერიკის იმპერიალიზმის მორალურ, ფინანსურ და სამხედრო დახმარებას.

დამხობილი შაჰის ერთ-ერთმა ნდობით აღჭურვილმა პირმა გენერალმა ოვეისიმ, წერს „მარდომი", გასულ კვირას ინგლისში გამართა კონტრრევოლუციონერთა თათბირი, სადაც განაცხადა, რომ „ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ირანის ახლანდელი რეჟიმის მოწინააღმდეგეებს 100 პროცენტით გაუხსნა ირანის რევოლუციის წინააღმდეგ ძირგამომთხრელი მოქმედების გზა". ოვეისიმ აგრეთვე თქვა, რომ ირანის საზღვრებს გარეთ ჰყავს 10.000 შეიარაღებული კაცი. ისინი მზად არიან ისეთი აქციების განხორციელებისათვის, რომლებსაც ქვეყნის შიგნით მხარს დაუჭერენ შაჰის რეჟიმის მომხრეები.

## ჩინელ ჯაშუშთა გასამართლება

**ჰანოი**, 22 იანვარი. ჩინელ ჯაშუშთა ჯგუფი, რომლებსაც ბრალად ედებათ ძირგამომთხრელი საქმიანობა, სასამართლოს წინაშე წარდგა ლაიტიანის სასაზღვრო პროვინციაში. იუწყება ვიეტნამის საინფორმაციო სააგენტო.

როგორც ღია პროცესის დროს დადგინდა, ჯგუფის მეთაური ვინმე ტინ კო ლუნი ჯერ კიდევ 1962 წელს გაიქცა ჩინეთში, ხოლო რამდენიმე წლის შემდეგ, როცა სათანადო მომზადება გაიარა, დაბრუნდა ზიაოშანის თემში და პროვოკაციული ჯაშუშთა ბანდა შექმნა. იგი რეგულარულად გზავნიდა თავის ხალხს ჯაშუშური ცნობების გადასაცემად და ჩინეთის სამხედრო სამსახურებისაგან დირექტივების მისაღებად. ჯგუფი ჩინეთში გადასცემდა ინფორმაციას ჩინეთის საზღვარზე ვიეტნამის თავდაცვის მდგომარეობის, ვიეტნამის სახალხო არმიის ნაწილების დისლოკაციის შესახებ.

გასული წლის თებერვლის აგრესიის წინ კონტრრევოლუციურმა დაჯგუფებამ შეიმუშავა მოქმედების გეგმა, რომელშიც შედიოდა ჩინელ აგრესორთა სურსათით მომარაგება, სახალხო ხელისუფლების წარმომადგენელთა და ადგილობრივ მოსახლეობისათვის ლიკვიდაცია, ძალაუფლების ხელში ჩაგდება რაიონში. აგენტები ამხილეს და უვნებელყვეს ცოტა ხნით ადრე, სანამ ჩინეთი აგრესიას დაიწყებდა ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის წინააღმდეგ.

სასამართლომ ჯაშუშთა ჯგუფის მეთაურსა და წევრებს სხვადასხვა ვადის პატიმრობა მიუსაჯა.

**მოკლედ** — **23 იანვარი**

## ყოველი მხრიდან

**რომი.** 30 მილიონ ლირაზე მეტი შეაგროვეს კვირას იტალიის კომუნისტური პარტიის ორგანოს გაზეთ „უნიტას" ფონდში. ასე გამოეხმაურნენ იტალიის კომპარტიის აქტივისტები ქვეყნის დემოკრატიული ძალების წარმომადგენელნი კომპარტიის მოწოდებას — მოაწყონ ხახსრების შეგროვება „უნიტას" სტამბის რეკონსტრუქციისათვის.

**ნიუ-იორკი.** ამერიკის შეერთებული შტატების საავტომობილო მრეწველობის კრიზისი რიკოშეტით მოხვდა მის მომიჯნავე დარგებს. გაზეთ „უოლსტრიტ ჯორნელის" ცნობით, ავტოსაბურავების მწარმოებელმა ყველა წამყვანმა კომპანიამ ამ ბოლო წელს მნიშვნელოვნად შეამცირა წარმოების მოცულობა, რასაც მოჰყვა მშრომელთა მასობრივი დათხოვნა. მაგალითად, კომპანია „ფაირსტოუნ ტაირ ენდ რაბერმა" ამ ბოლო ოვეებში დაითხოვა 3.715 კაცი. მიუხედავად ამისა ადმინისტრაციამ გამოაცხადა, რომ 1 თებერვლიდან ქალაქ დეიტონში (ოჰაიოს შტატი) ერთ-ერთ მის ქარხანაში დაითხოვენ კიდევ 465 კაცს. „გუდირ ტაირ ენდ რაბერ კომპანის" ქარხნებიდან დათხოვნილთა რიცხვმა 1800-ს მიაღწია, ხოლო „ჯენერალ ტაირ ენდ რაბერის" საწარმოებში სამუშაო დაკარგა 1.100 კაცმა.

**კაირო.** მუდავნდება სულ ახალ-ახალი ფაქტები ეგვიპტის ხელისუფალთა რეპრესიული მოქმედებისა ქვეყანაში ოპოზიციური ელემენტების და, კერძოდ, ეროვნულ-პროგრესული „მემარცხენე" პარტიის წევრთა წინააღმდეგ.

როგორც ეროვნულ-პროგრესულ პარტიასთან არსებული თავისუფლებათა დაცვის კომისიის საინფორმაციო ბიულეტენი იუწყება, 19 იანვარს ეგვიპტის სახელმწიფო უშიშროების ორგანოებმა აეროპორტში დააპატიმრეს პარიზიდან დაბრუნებული ელფატ აბდ რაბო, პარტიის კაიროს სამდივნოს წევრი. დღემდე ეროვნულ-პროგრესული პარტიის წევრების, აგრეთვე ადვოკატების ყველა ცდა დაკავშირებოდნენ მემარცხენე მოძრაობის დაპატიმრებულ აქტივისტს, უშედეგოდ დამთავრდა.

ხელისუფალთა მხრივ სრული ნებართვისა და დაუსჯელობის პირობებში კუ-კლუქს-კლანი სულ უფრო განიმტკიცებს პოზიციებს ამერიკის შეერთებულ შტატებში. (გაზეთებიდან).

ეს რასიზმია

## ბნელეთის მოციქულთა თარეში

**როცა ხელისუფლება თვალს ხუჭავს**

**მ**ოფაშისტო ვაჟბატონების თარეში ამერიკის შეერთებულ შტატებში პრაქტიკულად ნებას არის მიშვებული (ზემო სურათზე). ჟურნალი „ტაიმი" შეშფოთებით შენიშნავს, რომ კუკლუქს-კლანი, ეს ულტრარასისტული ორგანიზაცია უკანასკნელ წელიწად-ნახევარში 25 პროცენტით გაიზარდა. სულ უფრო ხშირად გიზგიზებენ კოცონებად ანთებული ჯვრები — რასისტთა ეს საზარელი სიმბოლოები. კუკლუქსკლანელებმა სერიოზულად მოჰკიდეს ხელი ახალგაზრდობის, რასისტთა ახალი თაობების აღზრდას. ამ მიზნით ზოგიერთი შტატის სპეციალურ ბანაკებში მარტო თეორიულად როდი ამზადებენ 10-17 წლის მოზარდებს (ქვემო სურათზე).

საპრესის ფოტოქრონიკა.

„კომუნისტის" მიმოხილვა

# ამ ერთ კვირაში

□ კვლავ „ჩინური კოზირი?" □ პაკისტანი და მისი მესვეურნი

**გ**ასულ კვირას მსოფლიოს მასობრივი ინფორმაციის ორგანოთა ყურადღების ცენტრში კვლავ იდგა ჩინეთში ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის მინისტრის ჰ. ბრაუნის ვიზიტის შედეგები და ჩინეთ-ამერიკის ურთიერთობა თანამედროვე ეტაპზე.

ახლა, როცა მინისტრთა ვიზიტები ჩვეულებრივ მოვლენად იქცა, ერთი შეხედვით თითქოსდა უჩვეულოა ის ცხოველი ინტერესი, რომელიც პენტაგონის შეფის ვოიაჟმა გამოიწვია. ამას თავისი ახსნა აქვს. დავიწყოთ იმის გახსენებით, რომ, როდესაც ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა შეიქმნა, ვაშინგტონმა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა მონათლა „კომუნისტების მიერ დროებით დაპყრობილ ტერიტორიად". შემდეგ ათეული წლების განმავლობაში ამერიკის მასობრივი ინფორმაციის საშუალებანი მსოფლიოს ყველაზე ხალხმრავალ სახელმწიფოს წარმოგვიდგენდნენ როგორც „ყვითელი საშიშროების კერას".

დღეს ყოველივე ამას არც ამერიკაში და არც ჩინეთში არავინ აღარ იხსენებს — 1979 წლის 1 იანვრიდან ვაშინგტონი ცნობს პეკინს და ჩინეთი ამერიკის „მეგობრადაც" კი ითვლება. საინტერესოა მხოლოდ ის, თუ როგორ უთავსებს ამჟამად ერთმანეთს თეთრი სახლი შექმნილ რეალობასა და საკუთარ სტრატეგიულ ინტერესებს?

უპირველეს ყოვლისა, თვალში საცემია ორმხრივი კონტაქტების მკვეთრი გააქტიურება. როგორც ამერიკელმა ჟურნალისტებმა გამოიანგარიშეს, შარშან ყოველთვიურად ჩინეთიდან ამერიკაში ჩადიოდა საშუალოდ 30 დელეგაცია, 4-ჯერ გაიზარდა დელეგაციათა გაცვლა წინა წელთან შედარებით. გასული წლის 7 ივლისს პეკინში ხელმოწერილმა შეთანხმებამ კი ხელსაყრელი პირობები შექმნა ეკონომიკური ურთიერთობისათვის. ხელშეკრულება ითვალისწინებს ჩინეთისათვის უმეტესი ხელშეწყობის ერის სტატუსის მინიჭებას, ფინანსური ურთიერთპრეტენზიების მოწესრიგებას, ჩინეთის, როგორც „განვითარებადი ქვეყნის" ცნობას და აქედან გამომდინარე პრივილეგიებს. ორ ქვეყანას შორის ვაჭრობამ, რომელმაც გასულ წელს მილიარდ დოლარს გადააჭარბა, 1985 წლისათვის 5 მილიარდს უნდა მიაღწიოს.

ცხადია, ჩვენ არაფერი გვაქვს ჩინეთ-ამერიკის დაახლოების საწინააღმდეგო. პირიქით, საბჭოთა კავშირი მუდამ იმის მომხრე იყო, რომ ამერიკას ეცნო ჩინელი ხალხის ნამდვილი წარმომადგენელი მთავრობა და რომ ამ უკანასკნელს თავისი კუთვნილი ადგილი დაეკავებინა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში. მაგრამ ამავე დროს არც ამ ფაქტზე შეიძლება თვალის დახუჭვა, რომ ჩინეთ-ამერიკის ორმხრივ ურთიერთობას სულ უფრო აშკარად შეაქვს თავისი კორექტივები სხვა ქვეყნებთან ურთიერთობაში, კერძოდ კი საბჭოთა კავშირთან ურთიერთობაში. სულ უფრო ცხადი ხდება, რომ თეთრი სახლი ცდილობს „ძალთა ბალანსის" კლასიკური დოქტრინის პოზიციას დაუქვემდებაროს თავისი პოლიტიკა. თუ თავისი მმართველობის დასაწყისში კარტერი გარკვეული ეჭვით უყურებდა „ჩინური კოზირის" გათამაშების პერსპექტივებს, შემდეგ მან ამ მხრივ რესპუბლიკური ადმინისტრაციასაც კი გადააჭარბა.

ამ რამდენიმე ხნის წინათ დასავლეთგერმანული გაზეთი „ფრანკფურტერ ალგემაინე" წერდა: „უკან დარჩა გზაჯვარედინი, რომლის პოლიტიკური და სტრატეგიული შედეგების მნიშვნელობა ძნელია, გადაჭარბებით შეაფასო.. ჩინეთი უკვე ახორციელებს საბჭოთა კავშირის „შემოვლის" პოლიტიკას. მხოლოდ ახლა იღებს ნათელ ფორმას იმის კონტურები, რაც აზიაში ხდება ვიეტნამიდან ამერიკის წასვლის შემდეგ. ხუამ და დენმა დიდი დიპლომატიური თამაში წამოიწყეს. ყოველივე ამის შედეგად კარტერი ძნელი ამოცანის წინაშე აღმოჩნდა — კვლავ ხელთ ჰქონდეს „ჩინური კოზირი".

დღეს უკვე მართლაც რომ საკითხავია, ვისი კოზირია ეგრეთწოდებული „ჩინური კოზირი?", ამ მხრივ საინტერესო ცნობა გამოაქვეყნა იაპონიის პრესამ გასული წლის შემოდგომაზე. იაპონელ ჟურნალისტებს ხელთ ჩაუვარდათ საინტერესო ჩინური დოკუმენტი, რომელიც შეიცავდა სიაოპინის გამოსვლას პარტიის პლენუმზე. როცა ვაშინგტონთან დაახლოების მიზეზებს ხსნიდა, დენი აღნიშნავდა, რომ ჩინეთისათვის მთავარია ამერიკული ტექნოლოგიისა და თანამედროვე მოწყობილობათა მიღება, „ხოლო, როდესაც ჩვენ ამერიკისაგან მივიღებთ ყველაფერს, რაც გვესაჭიროება, შევძლებთ ჩვენი პრობლემები ვუკარნახოთ ამერიკელებს", — განაცხადა დენმა და იქვე დასძინა, რომ ამჟამად ბევრი მაღალი რანგის ამერიკელი ჩამოდის ჩინეთში, რომლებთაც საკუთარი ინტერესები აქვთ. „ჩვენ ვაიძულებთ მათ მიიღონ ჩვენი და მხოლოდ ჩვენი პირობები!", მართლაც რომ, საინტერესო განცხადებაა. რაც შეეხება ამერიკის შეერთებული შტატების პოზიციას, შეიძლება ითქვას, რომ ეს ყველაზე გულახდილად იმავე ბრაუნმა გამოხატა, როდესაც ერთ-ერთ პრესკონფერენციაზე განაცხადა — „ჩინეთთან ურთიერთობას ამერიკისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ორი მოსაზრების გამო: ჯერ ერთი, ჩინეთი საბჭოთა კავშირის სტრატეგიული მოწინააღმდეგეა. და მეორე, ჩინეთთან ურთიერთობის გაუმჯობესება სტაბილურობას გააძლიერებს მთელ შორეულ აღმოსავლეთში". საინტერესოა, თუ რას გულისხმობს ბრაუნი „სტაბილურობის გაძლიერებაში"? ვიეტნამის საწინააღმდეგო სამხედრო აქციებს, თუ კამპუჩიის წინააღმდეგ მიმართულ ინტრიგებს?

აქვე უნდა აღინიშნოს ერთი, ჩვენი აზრით, საყურადღებო გარემოება: როგორც ოფიციალურ დოკუმენტებში, ასევე არაოფიციალურ განცხადებებში ამერიკელი თანამდებობის პირნი არასოდეს არ ივიწყებენ იმის მტკიცებას, რომ ჩინეთ-ამერიკის თანამშრომლობა არავითარ შემთხვევაში არ მოიცავს სამხედრო სფეროს. სწორედ ამ თვალსაზრისით არის ახალი მოვლენა ბრაუნის ვიზიტი ჩინეთში. გარდა იმისა, რომ ეს იყო პენტაგონის ხელმძღვანელობის პირველი ვიზიტი, უკვე ოფიციალურად ითქვა, რომ ამერიკა ჩინეთს ისეთ რთულ ტექნოლოგიასა და ისეთი სახის დანადგარებს მიაწვდის, რომელთა გამოყენება შესაძლებელია სამხედრო მიზნებისათვის.

გარდა ამისა, არც ერთ მხარეს არ დაუმალავს, რომ პეკინი და ვაშინგტონი ერთობლივ ღონისძიებებს გაატარებენ პაკისტანისათვის სამხედრო დახმარების აღმოსაჩენად, რაც სინამდვილეში ავღანეთის საშინაო საქმეებში ჩარევას მოასწავებს.

**ამ დღეებში** დასავლეთის პრესა ზომაგადასულ დაინტერესებას იჩენს პაკისტანისადმი. და არა მარტო პრესა; ისლამაბადში უკვე იმოგზაურეს ინგლისისა და ჩინეთის საგარეო საქმეთა მინისტრებმა ლორდმა კარინგტონმა და ხუან ხუამ; ახლო მომავალში აქვე მოელიან ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო დელეგაციას; თეთრ სახლში თვით პრეზიდენტმა კარტერმა მიიღო პაკისტანის მეორეხარისხოვანი დელეგაცია; ქვეყნის პრეზიდენტის ზია-ულ-ხაკის განცხადებები იბეჭდება დასავლეთის ავტორიტეტულ ჟურნალ-გაზეთებში; ამერიკის კონგრესი სასწრაფოდ განიხილავს პაკისტანისადმი ამერიკის დახმარების საკითხს და ჩვეულებრივ ხელმომჭირნე სენატორები 400-მილიონიანი დახმარების კიდევ უფრო გადიდებას სთხოვენ ადმინისტრაციას და ა. შ.

პაკისტანის ბედით უცებ დაინტერესდა მთელი ვაშინგტონი, ჩინეთიდან დაბრუნების შემდეგ პირველსავე პრეს-კონფერენციაზე ბრაუნი ვრცლად შეეხო პაკისტანის „უსაფრთხოების" საკითხს. თურმე, ნუ იტყვით, პაკისტანს საბჭოთა ჯარების შეჭრის საფრთხე ელის და თუ ვინმე იხსნის მას, ისევ ამერიკა, ხოლო ამჟამად „ხსნის" მხოლოდ ერთადერთი საშუალება არსებობს — იარაღის შეუზღუდავი მიწოდება. თავისი პრესკონფერენცია ბრაუნმა პათეტიკური ტონით დაამთავრა — „პაკისტანზე თავდასხმა ამერიკაზე თავდასხმას მოასწავებსო" და ამით ყველა საღად მოაზროვნე ადამიანისათვის ცხადი შეიქნა რომ პაკისტანს არავითარი საფრთხე გარედან არ ელის. სხვა შემთხვევაში ისეთი წინდახედული, როგორიც ამერიკის თავდაცვის მინისტრია, ასეთი დიდმნიშვნელოვანი განცხადებისაგან თავს შეიკავებდა.

ყოველივე ეს იმას მოასწავებს, რომ დღეს პაკისტანი არის ანტიავღანური ინტრიგათა მთავარი და ძალზე მოსახერხებელი პლაცდარმი.

სწორედ უკანასკნელი მომენტი განსაზღვრავს ავღანეთის ფასს დასავლეთის თვალში, თორემ არცთუ ისე დიდი ხანი გავიდა მას შემდეგ, რაც ამერიკამ ყოველგვარი დახმარება შეუწყვიტა პაკისტანს, ვინაიდან პრესის მონაცემებით ისლამაბადი ბირთვულმა ამბიციებმა შეიპყრო და საკუთარი ატომური ბომბის შექმნას შეუდგა.

პაკისტანი ერთადერთი მაჰმადიანური ქვეყანაა, რომელსაც პრაქტიკულად შეუძლია საკუთარი ბირთვული პოტენციალის შექმნა, რაც საფუძველს უთხრის ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის პრინციპს და გარდა ამისა ისრაელის განსაკუთრებულ შეშფოთებას იწვევს.

დღეს ვაშინგტონმა ყველაფერი ეს მიივიწყა, მიივიწყა აგრეთვე 1976 წლის აგვისტოც, როდესაც თეთრი სახლის მოხელენი შეეცადნენ ბირთვული პოტენციალის შესამუშავებელი სამუშაოები... პაკისტანის ყოფილმა პრეზიდენტმა ბჰუტომ ასე უპასუხა კისინჯერს: „ჩვენ მაინც განვაგრძობთ ამ სამუშაოებს, თუნდაც მარტო ბალახი გვქონდეს საჭმელადაო".

მართალია, მას შემდეგ პაკისტანის ხელმძღვანელობას თავის გეგმებზე ხელი არ აუღია, მაგრამ დღეს არ არსებობს სხვა ქვეყანა, საიდანაც ასე მოხერხებული იყოს ავღანეთის რევოლუციის წინააღმდეგ ბრძოლა და პრეზიდენტი კარტერიც ახალ კურსს ადგება. ტყუილად ხომ არ სდებენ მას ბრალს არათანმიმდევრობაში.

**ს. ცინცაძე,**
„კომუნისტის" პოლიტიკური მიმომხილველი.

ოლიმპიურ ტალღაზე

## ტალინი მშვენდება

**ტალინში**, იქ, სადაც XXII ოლიმპიადის პროგრამით გათვალისწინებული აფროსანთა შეჯიბრებანი გაიმართება, თითქმის ყველაფერი მზად არის. საზღვაო სანაპიროზე მშენებარე 18 ოლიმპიური ნაგებობიდან 1979 წლის პირველ ნახევარში 12 უკვე დამთავრდა. მათ შორის იახტ-კლუბი, სასტუმროთა კორპუსები, ელინგები, პრესცენტრი, ყურის სანაპირო ნაწილი. მალე დაამთავრებენ დანარჩენი ობიექტების, სპორტდარბაზის, აუზის, საზოგადოებრივი კვების ბლოკის მშენებლობას. სწრაფი ტემპით აგებენ 28-სართულიან სასტუმრო „ოლიმპიას". აფროსანთა რეგატის მთავარი რაიონი — პირიტა სულ უფრო მშვენდება. აიგო ახალი ავტომატური საქალაქთაშორისო სადგური, სატელევიზიო ანძა, ახალი სანაოსნო ნავზალი. შენდება საერთაშორისო აეროვაგზალი, მიმდინარეობს ძველი შენობების რეკონსტრუქცია და კეთილმოწყობა. ერთი სიტყვით, ტალინელებს თავისუფლად შეუძლიათ თქვან, რომ ისინი პირნათლად შეხვდებიან ოლიმპიური რეგატის მონაწილეებსა და სტუმრებს.

## კუბელები ემზადებიან

**კუბელი** სპორტსმენები დიდი ენთუზიაზმით ემზადებიან მოსკოვის ოლიმპიადისათვის. ისინი ასპარეზობას აპირებენ 14 სახეობის სპორტში, მათ შორის მძლეოსნობაში, ძალოსნობაში, კრივში, ფრენბურთში, ძიუდოში, სროლაში, კლასიკურ ჭიდაობაში, ნიჩბოსნობაში, ფარიკაობაში, ველოსპორტში, ქალთა კალათბურთში და სხვა.

კუბის სპორტის ინსტიტუტის პრეზიდენტმა ხორხე გარსია ბანგომ განაცხადა, რომ მოსკოვის ოლიმპიადა დიდ როლს შეასრულებს მსოფლიო სპორტის განვითარებაში და ხელს შეუწყობს მთელი მსოფლიოს მშვიდობის საქმეს.

## მეღლის იმედი აქვს

**უნგრეთის** ნაკრების მოჭიდავეები მოსკოვის ოლიმპიადისათვის ვარჯიშების ახალ ციკლს. ახლა 12 სპორტსმენი ერთობლივად გადის წვრთნას, ხოლო მსოფლიოს სამგზის და ოლიმპიადა 76-ის ჩემპიონი ტაიჩზი ვარჯიშში ზოლტან მადიარი სპეციალური გეგმით ემზადება. მისი მწვრთნელია ლასლო ვიგა. მადიარი იმედოვნებს, რომ მოსკოვის ოლიმპიურ მედალს დაიუფლებს. უნგრელი ტანმოვარჯიშეები თებერვალში შერჩევით შეჯიბრებაში მიიღებენ მონაწილეობას, ოლიმპიადის წინ კი გამართავენ შეხვედრებს დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთის, ბულგარეთისა და ნორვეგიის სპორტსმენებთან.

## გაიზრდება ოსტატობა

**უგანდის** ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ ერნესტ ოლუომ განაცხადა, რომ მოსკოვის მომავალი ასპარეზობა მსოფლიო სპორტის განვითარებას კიდევ უფრო შეუწყობს ხელს, გაიზრდება ათლეტთა ოსტატობა, განმტკიცდება მშვიდობა. ოლუომ დასძინა, ჩვენ მტკიცედ გვაქვს გადაწყვეტილი მოსკოვში ოლიმპიური ნაკრების გაგზავნა. უგანდელმა სპორტსმენებმა უკვე კარგა ხანია რაც დაიწყეს ამ ასპარეზობისათვის მზადება.

ვარაუდობენ, რომ უგანდელთა ოლიმპიური ნაკრები 55 სპორტსმენით იქნება წარმოდგენილი. ისინი განსაკუთრებით დიდ იმედებს ამყარებენ მოკრივეებზე.

## დამატებით დროში

**კაუნასში** დაიწყო კალათბურთელთა ქვეყნის საკავშირო ჩემპიონატის მეორე წრე. პირველი დღის მატჩები ერთობ დაძაბულად წარიმართა. თბილისის „დინამომ" მხოლოდ დამატებით დროში შეძლო მინსკის რეჟის დამარცხება — 87:86 (78:78, 51:38). ასევე დამატებით დროში მოიპოვა წარმატება რიგის გუნდმა, რომელმაც მოუგდო შეხვედრა კიევის „სტროიტელს" — 99:90 (82:82, 48:48). ვილნიუსის „სტატიბამ" დაამარცხა კაუნასის „ჟალგირისი" — 91:85 (50:39).

კაუნასის ჯგუფში მონაწილეთაგან ყველაზე მეტი მოგება (8) „ჟალგირისს" აქვს; დანარჩენთა აქტივი ასეთია: თბილისის „დინამო" — 7 მოგება, „სტატიბა" — 6, ვეფი — 4, „სტროიტელი" — 3, რტი — 2.

**უკანასკნელ საათს**

**გუშინ** თბილისის „დინამო" შეხვდა რიგის „ვეფს" და გაიმარჯვა ანგარიშით 76:74 (42:30).

□

## დამაჯერებელი გამარჯვება

**შვეციის** ქალაქ სკარაში ერთობ დაძაბულად და საინტერესოდ მიმდინარეობს ევროპის ჯუნდორო ჩემპიონატი ჭადრაკში, ინგლისელებთან და უნგრელებთან ზედიზედ ორმა თრმა საბჭოთა მოჭადრაკეებს გარკვეული პრობლემები შეუქმნა პირველობისათვის ბრძოლაში. მესამე ტურში მათ დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვეს შვედებთან (6:2) და ერთგვარად გაიუმჯობესეს მდგომარეობა. ამ მატჩში კარპოვი ანდერსონს დაუზავდა, პეტროსიანი კი შნაიდერს. პოლუგაევსკიმ დაამარცხა შიუსლერი, ვაჰანიანმა — ნიკოლსონი, იუსუპოვმა — იანსონი, ქასპაროვმა — რემანი, რომანიშინმა — ორნშტეინი. ტალი დამარცხდა კარლსონთან შეხვედრაში.

მესამე ტურის დანარჩენი მატჩების შედეგები ასეთია: ისრაელი-იუგოსლავია — 2:5 (1 გადადებული), ჩეხოსლოვაკია-ინგლისი — 4,5:2,5 (1), ბულგარეთი-უნგრეთი — 4:4.

## სატურნირო ორბიტა

**თავისუფალი ჭიდაობა.** ქალაქ ორჯონიკიძეში გამართა სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ნაკრები გუნდების შეხვედრა. გამარჯვება მოიპოვეს საბჭოთა სპორტსმენებმა — 8:2.

**კლასიკური ჭიდაობა.** ტულაში დამთავრდა პროფკავშირთა სპორტსაზოგადოებების საკავშირო შეჯიბრება. გამარჯვებულთა შორის არის საქართველოს სპორტსმენი ზ. ყუფუნიძე.

**მძლეოსნობა.** ალმაათელმა სერგეი კულიბაბამ საკავშირო რეკორდი (დარბაზებისათვის) გააუმჯობესა მინსკში გამართულ ასპარეზობაზე. მან ჭოკით ხტომაში დაძლია 560 სანტიმეტრი.

**ჩოგბურთი.** მოსკოვში დამთავრდა დინამოელთა პირველი საკავშირო ტურნირი. ქალთა შორის უძლიერესის სახელი მოიპოვა მოსკოველმა ნ. ჩმირიოვამ. აღსანიშნავია, რომ მას შეჯიბრების მანძილზე ერთი პარტიაც არ წაუგია. ფინალში ჩმირიოვამ დაამარცხა თანაქალაქელი ო. მოროზოვა (7:5, 6:2). ვაჟთა ფინალში მოსკოველმა ა. ვოლკოვმა დაამარცხა თბილისელი ა. მეტრეველი (6:3, 6:4, 1:6, 6:3) და პირველობა დაისაკუთრა. შერეულ წყვილთა ფინალში ჩმირიოვამ და ბოგომოლოვმა მოუგეს მოროზოვასა და მეტრეველს (6:4, 6:4).

**ფიგურული ციგურაობა.** გეტებორგში მიმდინარე ევროპის ჩემპიონატში ვაჟთა ერთეულთა შორის ლიდერობს ვ. კოვალიოვი (სსრ კავშირი). მომდევნო ადგილებზე არიან ი. ჰოფმანი (გდრ) და რ. კაზინსი (ინგლისი). წყვილთა შორის დაწინაურდნენ ი. როდნინა და ა. ზაიცევი (სსრ კავშირი).

**რედაქტორი**
**გ. გედენიძე**

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის აპარატი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა მშენებლობისა და საქალაქო მეურნეობის განყოფილების გამგის მოადგილე
**ალექსანდრე სერგის ძე ვინოგრადოვი**
და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

ტელევიზია

## 24 იანვარი
### თბილისი

**პირველი პროგრამით:** 09.00 — „ვრემია" (მ.), 09.40 — დილის ვარჯიში (მ.), 10.05 — „ჩვენს დიად სამშობლოში". სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ვიტალი ზაკრუტკინი" (ფ.), 10.35 — მეცხრეკლასელთათვის — ფიზიკა (ფ.), 17.00 — აბიტურიენტთათვის — ფიზიკა, 17.30 — განცხადებები (ფ.), 17.35 — მულტიპლიკაციური ფილმი, 17.55 — უმცროსკლასელთათვის — ჩვენ ვსწავლობთ რუსულ ენას, 18.25 — „სძლიე სიხარბესა შენსა" (ფ.), 19.00 — **„მილიონთა ლენინური უნივერსიტეტი"** (მ.), 19.30 — ჩვენს დიად სამშობლოში. სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ოცნების სტარტები" (ფ.), 19.45 — „დღის მსოფლიოში" (მ.), 20.00 — „მოამბე" (ფ.), 20.30 — ქართული სატელევიზიო მხატვრული ფილმი „საქმე გადაეცემა სასამართლოს", 21.45 — დოკუმენტური ფილმი, 22.00 — „ვრემია" (მ.), 22.35 — კალათბურთი საბჭოთა კავშირის პირველობაზე. თბილისის „დინამო" — რიგის „ვეფი". 23 იანვრის მატჩის მეორე ტაიმის ვიდეოჩანაწერი.

**მეორე პროგრამით:** 16.00 — მოსწავლეებისათვის — ქართული ენა, 16.30 — განცხადებები (ფ.), 16.35 — „ჩვენს დიად სამშობლოში". სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ოცნების უფლება" (ფ.), 16.55 — მასწავლებლის საათი — ფიზიკა, 17.40 — მულტიპლიკაციური ფილმი, 18.00 — ნ. დუმბაძე. სატელევიზიო სპექტაკლი „საბრალდებო დასკვნა". მეორე ნაწილი (სომხეთის ტელევიზიის დადგმა).

### მოსკოვი

**პირველი პროგრამით** (თბილისის დროით): 09.00 — „ვრემია", 09.40 — დილის ვარჯიში, 10.05 — გამოჰყევხმაურეთ, პიონერებო!", 10.35 „დე გრეისა და მანონ ლესკოს ამბავი". ტელესპექტაკლი. დამთავრების შემდეგ — ახალი ამბები, 15.30 — ახალი ამბები, 15.50 — სოფლის საქმის დღეები. დოკუმენტური ფილმები, 16.35 — საუბარი სამართალზე, 17.05 — ფ. შუბერტი — სიმფონია სი მინორი („დაუმთავრებელი"), 17.30 — რუსული ენა, 18.00 — ნორჩი სპორტსმენების დიდი ასპარეზი, 18.30 — მოსკოვის ოლქის საგუნდო კაპელის „სახალხო მასწავლებლის" კონცერტი, 19.00 — **მილიონთა ლენინური უნივერსიტეტი.** „განვითარებადი ქვეყნების ბრძოლა ეკონომიკური დამოუკიდებლობისათვის", 19.30 — ყოველ ნაბიჯზე მზერა, 19.45 — დღის მსოფლიოში, 20.00 — მეცნიერების ცხოვრება, 20.30 — ევროპის ჩემპიონატი ფიგურულ ციგურაობაში. წყვილთა ციგურაობა. ნებისმიერი პროგრამა, 22.00 — „ვრემია", 22.35 — ანდრონიკოვის სიტყვა. ტელეფილმი. დამთავრების შემდეგ (23.40) — დღის მსოფლიოში.

**მეოთხე პროგრამით:** 20.00 — საერთაშორისო ტურნირი ფეხბურთში „სპარტაკი" — „ლოკომოტივი". მეორე ტაიმი, 20.30 — „სამი ოცდაჩახიდან". დოკუმენტური ტელეფილმი, 21.00 — „ძილი ნებისა, პატარებო.", 21.15 — ნ. გ. ჩერნიშევსკი. წერილები, მოგონებანი, 21.55 — ჩვენი მისამართი საბჭოთა კავშირია, 22.40 — „ნიღბით და კოსტიუმით", მხატვრული ტელეფილმი სერიიდან „პოლიციის გალეფონია 110" (გდრ).

თეატრი

## 24 იანვარი

**ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — ოტელო; რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — შუშანიკის მარტვილობა; მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — ეზოში ავი ძაღლია; აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — ჩანჩურა; მინიატურების სახელმწიფო — უშიაკის კუდი; რუსთაველის სახელმწიფო დრამატული (კინოაქტიორთა სახლში) — ზურიკელა.**

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66434 — უე 07631 — საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, 380096, თბილისი-96, ლენინის ქ. 14. იაფამდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის 29.